საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1918 წლის 25 ივლისიდან

შაბათი-კვირა, 21-22 დეკემბერი. 2019 წ. №254 (8920) | ელ.ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge | ფასი 60 თეთრი

იმისთანა ჭმინდა საქმეში, რიგორიც ბეჭდვური სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბუტთის გაფანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

ქართველთა კიდევ ერთი გულუბრყვილობა და ოსთა მორიგი მზაკვრობა



ექიმ ვაჟა გაფრინდაშვილს 1 წლითა და 9 თვით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯეს

ოკუპანტების მიერ გატაცებულ ექიმს ვაჟა გაფრინდაშვილს ცხინვალის ე.წ. სასამართლომ 1 წლით და 9 თვით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა. ამ ინფორმაციას ადვოკატი დავით ასათიანი ავრცელებს.

ე.წ. პროცესი ოკუპირებულ ცხინვალში, დახურულ რეჟიმში გაიმართა. სხდომას თავად ვაჟა გაფრინდაშვილიც დაესწრო. ექიმის ინტერესებს ვლადიკავკაზელი ადვოკატი იცავდა.

საქმეს ე.წ. ლენინგორის რაიონის (ახალგორი) სასამართლო განიხილავდა, რომელიც სხდომებს ცხინვალში ატარებს.

ვაჟა გაფრინდაშვილის საკითხი ჟენევის საერთაშორისო მოლაპარაკებების 50-ე რაუნდის მთავარი თემა იყო.

მანამდე ეს საკითხი უცხოელ პარტნიორებთან გამართული შეხვედრების დროს ერთ-ერთი მთავარი თემა იყო. საგარეო საქმეთა მინისტრმა დავით ზალკალიანმა 6 დეკემბერს, ეუთოს მოქმედ თავმჯდომარესთან მიროსლავ ლაიჩაკთან შეხვედრის შემდეგ განაცხადა, რომ არსებობს პოზიტიური ნიშნები, რომ ექიმ ვაჟა გაფრინდაშვილს მალე გაათავისუფლებდნენ.

ამავე დღეს ეუთოში საქართველოს მეგობართა ჯგუფმა ვაჟა გაფრინდაშვილის სასწრაფოდ გათავისუფლება გავრცელებული განცხადებით მოითხოვა. გარდა ამისა, ექიმ ვაჟა გაფრინდაშვილის გატაცების საკითხი მინისტრმა ქეთევან ციხელაშვილმა ბრიუსელში გამართულ შეხვედრებზე განიხილა.

ეროვნული გვარდიის დღე

საქართველოს პრეზიდენტი სალომე ზურაბიშვილი ეროვნულ გვარდიას დაარსებიდან 29 წლისთავს ულოცავს.

„მეამაყება, რომ საქართველოს თავდაცვის სამინისტროს თავდაცვის ძალების ეროვნული გვარდია 29 წელია, ქართული სახელმწიფოებრიობის აღდგენის პირველივე ეტაპიდან, დამოუკიდებელი საქართველოს სადარაჯოზე დგას და დღემდე საკუთარი ხალხის სიმშვიდისა და უსაფრთხოების დაცვის სამსახურშია.

ქართველი ხალხის სახელით მადლობას ვუხდი მათ იმ თავდადებისათვის, რომლითაც საკუთარ ხალხსა და ქვეყანას ემსახურებიან და ვულოცავ ამ თარიღს!

პატივს მივაგებ იმ მებრძოლთა ნათელ ხსოვნას, ვინც თავი გაწირა ქვეყნის ერთიანობისა და დამოუკიდებლობისათვის“, — აცხადებს სალომე ზურაბიშვილი.

გველირსა: კელი დეგნანი დამტკიცებულია

აშშ-ის სენატმა საქართველოში ელჩის თანამდებობაზე კელი დეგნანი დაამტკიცა. სენატში საქართველოში აშშ-ის ელჩის პოსტზე წარდგენილ კელი დეგნანს 29 ოქტომბერს მოუსმინეს.

აშშ-ის პრეზიდენტმა დონალდ ტრამპმა კელი დეგნანი საქართველოში ელჩის პოზიციაზე 4 სექტემბერს დაასახელა. კელი დეგნანი ევროპასა და აფრიკაში აშშ-ის საზღვაო ძალების პოლიტიკური მრჩეველია. საქართველოში აშშ-ის ელჩის პოსტი 2018 წლის მარტიდან ვაკანტურია. 2015 წლიდან 2018 წლამდე ამ პოსტს იან კელი იკავებდა. ამჟამად საქართველოში აშშ-ის ელჩის მოვალეობას ელიზაბეთ რუდი ასრულებს.

კარგ მთქმელს კარგი გამგონი უნდა!

პარლამენტის თავმჯდომარის არჩილ თალაკვაძის განცხადება

„ქართული ოცნება — დემოკრატიული საქართველოს“ პრესსამსახური პარლამენტის თავმჯდომარის არჩილ თალაკვაძის განცხადებას ავრცელებს, რომელსაც უცვლელად გთავაზობთ:

მოგეხსენებათ, ბოლო პერიოდში საარჩევნო სისტემასთან დაკავშირებით პოლიტიკური მსჯელობა იყო და პოლიტიკური სპექტრის მსჯელობის ერთ-ერთი მთავარი თემა სწორედ ეს იყო.

ყველამ კარგად იცის, რომ სწორედ „ქართული ოცნების“ ინიციატივით, 2020 წლის საპარლამენტო არჩევნები სრულად პროპორციული სისტემით უნდა ჩატარებულიყო. ეს იყო ჩვენი ინიციატივა, თუმცა ოპოზიციის დესტრუქციული ქმედებების და მმართველ გუნდში შექმნილი წინააღმდეგობების გამო, ამ საკითხის ირგვლივ არსებული მყიფე კონსენსუსის შენარჩუნება გუნდში სამწუხაროდ ვერ მოხერხდა.

იხ. 2 გვ.

ჩვენ ვილაპარაკებთ, თქვენ ბურთი პირშიო...

როცა კონსტიტუცია თუ დემოკრატიაც სათავისო ხდება (4)

არამც და არამც არცვის არ ვიცავ, არც ერთ მხარეს, ღმერთმა დამიფაროს. მაგრამ, ვინაიდან თქმა მართლისა სიმართლისა ხესა შეიქმს ხმელსა ნედლად, სიმართლეს გვერდს ვერ ავუვლი. ვინ არის, ვინ ამხნევებს ეგრეთ წოდებულ გაერთიანებულ ოპოზიციას? ვინ აიარაღებს ახალი რევოლუციის ტაქტიკითა და სტრატეგიით? და როცა ამაზე ვფიქრობ, ჩემდა უნებურად შორეულ მექსიკაში გადახვეწილი ტროცკი წამომაგონდება ხოლმე, რომელმაც თავისი ანტისტალინური იდეოლოგიით უზარმაზარი ანტისახელმწიფოებრივი და ანტისახელისუფლო ოპოზიცია, ანუ იგივე მეხუთე კოლონა, შექმნა საბჭოეთში და ამ თავისი მავნე იდეოლოგიის სამსხვერპლოს უამრავი ადამიანი შეეწირა, ბევრი მართალი, სხვათაგან შურისძიების მიზნით დასმენილი, ქვეწარმავალთაგან დასუნთქული და კიდევ უფრო მეტი მტყუანი და სხვათა დანაშაულებრივ ფეხის ხმას აყოლილი... და განა შეიძლება, რომ ასეთ შემთხვევაში ამ ავადსახსენებელ ტროცკის გვერდით არ დავუყენოთ ამ საშინელი კაცივით ძალაუფლებისა და ხელისუფლებისთვის გაგიჟებული, საქართველოს პრეზიდენტყოფილი სააკაშვილი, რომელიც კიევიდან რევოლუციურ რჩეა-დარიგებებს არ აკლებს და თავის მავნე ჭკუაზე ათამაშებს ეგრეთ წოდებულ გაერთიანებულ ოპოზიციას, გონებადაბნელებულ ნაციონალურ ნარჩენებს, რომელთაც მოთმინება არ ჰყოფნით 2020 წლის შერეულ არჩევნებამდე და დღესვე ითხოვენ თავიანთი ფიურერის „აღსაყდრებას“.

ცოკილდან „ლოის ოჩოკლიოვებში“

...ვით შეჰფერის კაცსა კაცობა (6)

სოსო გოგაშვილის დუმილი „ნაყიდი“ არ ყოფილა! (3)

კარგ მოქმედს კარგი გამგონი უნდა!

(პირველი გვერდიდან)

შესაბამისად, 2019 წლის 14 ნოემბერს, აღნიშნულ ინიციატივასთან დაკავშირებული საკინსტიტუციო ცვლილებება პარლამენტში ჩავარდა.

ამ მოვლენამ ერთგვარი კატალიზატორის როლი შეასრულა და პოლიტიკურ ველზე დაძაბულობის ხარისხი გაზარდა.

დაძაბული იყო ვითარება ჩვენი გუნდის შიგნითაც — მაჟორიტარ დეპუტატთა ნაწილი არათუ პროპორციულ, არამედ სრულად მაჟორიტარულ საარჩევნო სისტემაზე გადასვლასაც კი მოითხოვდა. ამ ვითარებაში, არსებობდა გუნდის დაშლის და ქვეყანაში არასტაბილური პოლიტიკური ვითარების შექმნის საფრთხე.

ამ ფონზე, ბუნებრივია, რომ მმართველ პარტიას, როგორც პასუხისმგებლიან პოლიტიკურ ძალას, ერთი დღე არ შეუწყვეტია კომპრომისების ძიება და ამ პროცესში ძალიან მნიშვნელოვანი იყო ჩვენი საერთაშორისო მეგობრების, ჩვენი დასავლელი პარტნიორების თანადგომა. ამისთვის გვსურს, განსაკუთრებული მადლობა გადავუხადოთ მათ, რადგან კომპრომისების ძიებას, პოლიტიკური პროცესის ნორმალიზებას და ქვეყნის მშვიდობიან, დემოკრატიულ განვითარებას ალტერნატივა, რა თქმა უნდა, არ გააჩნია.

რთული პროცესების შედეგად, „ქართული ოცნების“ გუნდმა შეძლო, არსებულ ვითარებაში ოპტიმალური, კომპრომისული გადაწყვეტილების შეთავაზება და მიღება. პოლიტიკურ სპექტრს ჩვენ ვთავაზობთ ინიციატივას, შევინარჩუნოთ მოქმედი შერეული საარჩევნო სისტემა, თუმცა 2/3-მდე გავზარდოთ პროპორციულობის წილი ამ სისტემაში.

ამ ინიციატივაზე შეთანხმების შემთხვევაში, პროპორციული წესით ავირჩევთ 100 დეპუტატს, ნაცვლად 77-ის, ხოლო მაჟორიტარული მანდატები 50-მდე შემცირდება. შესაბამისად, მომავალ პარლამენტში იქნება 100 პროპორციული მანდატი, თუ ეს შეთანხმება შედგა და იქნება 50 მაჟორიტარული მანდატი.

შეგახსენებთ, რომ აღნიშნულ პროპორციაზე გადასვლასთან დაკავშირებით, ქართველ ხალხს რეფერენდუმზე გარკვეულწილად გამოხატული აქვს საკუთარი ნება, რომელიც საკონსტიტუციო ცვლილების სახით აისახა კიდეც კანონმდებლობაში 2005 წლის 23 თებერვალს და განისაზღვრა, რომ საქართველოს პარლამენტი შედგება 150 დეპუტატისგან, რომელთაგან 100 — პროპორციული, 50 კი მაჟორიტარული სისტემით აირჩევა.

მიუხედავად იმისა, რომ რეფერენდუმმა ამის ლეგიტიმაცია არ მისცა წინა ხელისუფლებას, სამწუხაროდ, 2008 წლის 12 მარტს, „ნაციონალური მოძრაობის“ ხელისუფლებამ ხალხის მიერ რეფერენდუმზე გამოხატული ნების გარეშე და საწინააღმდეგოდ შეცვალა ეს თანაფარდობა და მათ გაზარდეს მაჟორიტარული მანდატების რაოდენობა, პროპორციულის ხარჯზე. მაშინ მიღებული იყო გადაწყვეტილება ზუსტად საწინააღმდეგოდ იმისა, რასაც ჩვენ ახლა ოპოზიციას და საზოგადოებას ვთავაზობთ.

რა თქმა უნდა, ყველა საარჩევნო სისტემა, როგორც სრულად მაჟორიტარული, პროპორციული თუ შერეული, დემოკრატიულია და თითოეულ მათგანს საკუთარი უპირატესობა და ნაკლი აქვს.

ჩვენ ვხედავთ, რომ სრულად პროპორციული საარჩევნო სისტემა პოლიტიკური კრიზისების წყარო ხდება განსაკუთრებით ბოლო წლების განმავლობაში, ისეთი ძლიერი ეკონომიკის მქონე ქვეყნებშიც კი, როგორიცაა გერმანია, ლატვია, ესპანეთი, ბელგია და არაერთი სხვა მაღალგანვითარებული სახელმწიფო. ამის ნათელი მაგალითია ისრაელიც, სადაც პროპორციულ სისტემაზე გადასვლის გამო ვერ ხდება მთავრობის ფორმირება და ბოლო 1 წლის განმავლობაში, უკვე მესამედ უწევს არჩევნების ჩატარება, რაც ჩვენი ტიპის ქვეყნისთვის, რა თქმა უნდა, იქნება კრიტიკული .

შესაბამისად, ჩვენი ქვეყნის მდგომარეობის, პოლიტიკურ კლასში პოლარიზაციის ხარისხის და კომპრომისების პოვნის ტრადიციის დეფიციტის გათვალისწინებით, სრულად პროპორციულ საარჩევნო სისტემას, ნამდვილად ახლავს სახელისუფლებო კრიზისის და ქვეყნის დესტაბილიაზაციის მაღალი რისკები, რაც ხშირად შეუძლებელს ხდის კოალიციის შექმნას და რაც ხშირად გამოიხატება ისეთი ელემენტარული გადაწყვეტილებების ვერმიღებაზე, რომელიც პირდაპირ აისახება ჩვენი მოქალაქეების ყოველდღიურ ყოფაზე.

ყველას გვახსოვს, რომ ამ საკითხებთან დაკავშირებით, მათ შორის საჯარო განხილვების დროს ჩვენი მოქალაქეებიც კითხვებს გვისვამდნენ.

მიგვაჩნია, რომ შექმნილ ვითარებაში, როგორც შიდა, ისე გეოპოლიტიკური გამოწვევების გათვალისწინებით, საქართველოსთვის, ჩვენი ტიპის ქვეყნისთვის საუკეთესო სწორედ შერეული საარჩევნო მოდელია, რომელსაც, შეგახსენებთ, რომ იტალია სრულად პროპორციული სისტემის შეცვლის შემდეგ ახლახან დაუბრუნდა.

აღნიშნული მოდელი ითვალისწინებს მაჟორიტარი დეპუტატების წილსაც, თუმცა გაცილებით სჭარბობს პროპორციული წესით ასარჩევი დეპუტატების რაოდენობა.

„ქართული ოცნების“ მიერ შეთავაზებული ამ ინიციატივით, პროპორციული წესით ასარჩევი დეპუტატების რაოდენობა, მაჟორიტართა რიცხვის შემცირების ხარჯზე, 2/3-მდე იზრდება, რაც არის მნიშვნელოვანი ცვლილება. სწორედ მეტი პროპორციულობა იყო ჩვენი საერთაშორისო პარტნიორების მთავარი რეკომენდაციაც და რეფორმების სულისკვეთებაც, რომელსაც ჩვენ მხარი დავუჭირეთ ერთი წლის წინათ.

აქედან გამომდინარე, მივმართავთ პოლიტიკურ სპექტრს, ვინც დაინტერესებულია ქვეყნის სტაბილური, დემოკრატიული განვითარებით, აქტიურად ჩაერთონ ამ საკითხის განხილვაში და საერთაშორისო თანამეგობრობის მაღალი ჩართულობით, სწრაფად მივაღწიოთ კონსენსუსს და დავასრულოთ ამ საკითხთან დაკავშირებული პოლიტიკური ვნებათაღელვა.

ვაზუსტებ — გუნდში მიღწეული კონსესუსი ამჟამად არის ამ ცვლილების არა მხოლოდ 2020 წლის არჩევნებისთვის, ერთჯერადად, არამედ შემდგომი არჩევნებისთვისაც დემოკრატიული და დაბალანსებული სისტემით ჩატარების დაკანონება.

ამასთანავე, გარწმუნებთ, აქტიურად ვიმუშავებთ იმისთვის, რომ ეუთოს რეკომენდაციების ფარგლებში მიმდინარე საარჩევნო კანონმდებლობის რეფორმა წარმატებით დასრულდეს, არჩევნები კი დემოკრატიულ, სამართლიან, თავისუფალ და კონკურენტულ გარემოში ჩატარდეს, რომელზეც ხალხი გადაწყვეტს, თუ ვის ანდობს ქვეყნის მომავალს და მართვის ძირითად პასუხისმგებლობას.

„ქართული ოცნების“ აღნიშნული გადაწყვეტილება სახელმწიფოებრივი აზროვნებით არის ნაკარნახევი, რადგან ჩვენს ქვეყანას, მოქალაქეებს, განვითარებისთვის მშვიდობიანი, სტაბილური და დემოკრატიული გარემო ესაჭიროება.

იმედს გამოვთქვამთ, რომ ოპოზიციაც გამოიჩენს სახელმწიფოებრივ მიდგომას, შედგება კონსენსუსი და ყველა ერთად მშვიდად განვაგრძობთ ქვეყნის სტაბილურ და დემოკრატიულ განვითარებას. ამის წინაპირობა კი ნამდვილად არსებობს.

დავით უსუფაშვილი: ყველაფერს გავაკეთებ, რათა რევოლუციური ცვლილება ამ ქვეყანაში აღარ მოხდეს

„შენების მოძრაობის“ ლიდერის დავით უსუფაშვილის განცხადებით, იმედი აქვს, საარჩევნო სისტემასთან დაკავშირებით ოპოზიციასა და მმართველ პარტიას შორის საბოლოოდ შეთანხმება შედგება.

„იმედი მაქვს, შეთანხმებას მივაღწევთ. ეს იქნება რთული, მაგრამ ამის იმედი მაქვს. ჩვენი მხრიდან კეკლუცობა, ტაქტიკა არ არის, რომ მოლაპარაკებებზე დავდივართ. არა, შედეგზე ვართ ორიენტირებული და შედეგს მივაღწევთ“, — განაცხადა დავით უსუფაშვილმა.

კითხვაზე, „თუ შედეგი ვერ მიიღწევა, „შენების მოძრაობა“ რევოლუციურ სცენარს განიხილავს? ნინო ბურჯანაძე არ გამორიცხავს, რომ პროცესები იგივენაირად განვითარდეს“, უსუფაშვილმა უპასუხა, რომ ყველა ქვეყანაში, ყველა რევოლუციას ხელისუფლება ამწიფებს.

ამასთან, უსუფაშვილის თქმით, ყველაფერს გააკეთებს, რათა რევოლუციური ცვლილება საქართველოში აღარ მოხდეს.

„ხელისუფლებას შეყავს ხოლმე მდგომარეობა ჩიხში და ამის საშუალება არ უნდა მივცეთ. ყველაფერს გავაკეთებ, რათა რევოლუციური ცვლილება ამ ქვეყანაში აღარ მოხდეს და ამისთვის ხელისუფლება უნდა მოეგოს გონს, ამ ჩიხიდან გამოვიდეს“, — განაცხადა დავით უსუფაშვილმა.

მამუკა მდინარაძე: ასეთი მოდელი ბუნებაში არ არსებობს!

როგორც ჩანს, ოპოზიციას უნდა ისეთი მოდელი, რომლის მიხედვითაც, მაღალი მხარდაჭერის მიუხედავად, მაგალითად „ქართულმა ოცნებამ“ უნდა წააგოს, ასეთი მოდელი ბუნებაში არ არსებობს, — განაცხადა საპარლამენტო უმრავლესობის ლიდერმა მამუკა მდინარაძემ მმართველი პარტიის შეთავაზებასთან დაკავშირებით ოპოზიციის კრიტიკის საპასუხოდ. მისი თქმით, მსოფლიოში არ არსებობს მოდელი, როდესაც მაღალი ლეგიტიმაციის და მაღალი მხარდაჭერის პირობებში პარტია აგებს არჩევნებს.

„ვერაფერს ვერავის ვერ მოუწყობენ და მათი ბაქიბუქი ვხედავთ, რა შედეგებითაც მთავრდება“!

რედაქციისგან: **პარლამენტის თავმჯდომარის ეს განცხადება ერთმნიშვნელოვნად მისაღებია თითოეული ქართველისთვის, რადგანაც ის დიდი ფიქრისა და განსჯის შემდეგ ქვეყნისა და ხალხის ინტერესების გათვალისწინებით არის ნაკარნახევი.**

ეს ჯანსაღი გადაწყვეტილება, რა თქმა უნდა, არ მოსწონს საქართველოს მშვიდობიანი, სტაბილური, ჭეშმარიტად დემოკრატიული განვითარების მტრებს, აშკარა მტრებს — ოპოზიციას; სამარცხვინო, შემოგზავნილ ენჯოებს, ე.წ. არასამთავრობო ორგანიზაციებს; პოლიტიკის ბინძურ ჭაობში ჩაფლულ ვაშაძეებს, ნათელაშვილებს, ბოკერიებს, უგულავებს, სანიკიძეებს, სამადაშვილებს, დეკანოიძეებს, ხოშტარიებს... ზნედაცემულ „ექსპერტებს“ — ხუხაშვილებს, ჩიტაძეებს, გიგაურებს, ხაბეიშვილებს, გვარამიებს, კვესიტაძეებს...

ხელისუფალნო! — ქართველი ხალხის, გაზეთის გონიერი მკითხველის სახელით გირჩევთ, მოაშოროთ ეს მოღალატე ხალხი პოლიტიკურ ველს, დაამშვიდეთ საქართველო, მართლა არ დაღუპოთ ეს საოცარი ქვეყანა!

სომხეთი ბათუმისა და ფოთის პორტებს უმიზნებს!

18 დეკემბერს ცნობილი გახდა, რომ ოფიციალური ერევანი შავ ზღვაზე ტვირთების გადასაზიდად რუსეთთან ბორნების შეძენის საკითხზე მოლაპარაკებებს აწარმოებს და იმედოვნებს, რომ ბათუმის ან ფოთის პორტებში ტერმინალის გახსნას შეძლებს.

„მოლაპარაკებები წარმოებს, ვნახოთ, როგორ განვითარდება მოვლენები, თუმცა დარწმუნებული ვარ, რამდენიმე ხანში სომხეთი, ყაზახეთის მსგავსად, ფოთში ან ბათუმში ტერმინალის გახსნას შეძლებს“, — ადგილობრივი მედიის ცნობით განაცხადა სომხეთის პარლამენტის რეგიონული და ევრაზიული ინტეგრაციის მუდმივმოქმედი კომისიის თავმჯდომარემ **მიქაელ მელქუმიანმა**.

პორტალ VERELQ-ის ინფორმაციით, ჯერ კიდევ 13 ნოემბერს სომხეთის ტერიტორიული მართვისა და ინფრასტრუქტურის მინისტრმა **სურენ პაპიძიანმა** განაცხადა, რომ რუსეთთან მიმდინარეობდა მოლაპარაკებები ორი ბორნის შეძენაზე, რომელიც მოსკოვს ქერჩის ხიდის მშენებლობის შემდეგ გამოუთავისუფლდა.

კომპანია „ეი პი ემ ტერმინალს ფოთში“ აცხადებენ, რომ სომხურ მხარესთან არანაირი კომუნიკაცია არ ჰქონიათ.

„მსგავსი ჩვენი მხრიდან არაფერი ყოფილა. არც მათ გამოუთქვამთ რაიმეს შეძენის სურვილი. საერთოდ არ გვქონია კომუნიკაცია“, — განუცხადეს „აქცენტს“ კომპანიაში.

როგორც სპეციალისტები განმარტავენ, სომხეთი რუსეთთან დამაკავშირებელი არხების დივერსიფიცირებას ცდილობს, ვინაიდან ერთადერთი დამაკავშირებელი გზა — ლარსის გამშვები პუნქტი, ფაქტობრივად, სეზონურად მუშაობს. სომხეთი ლობირებდა საქართველოსა და რუსეთის დამაკავშირებელი გზის გახსნას, რომელიც სადღეისოდ ოკუპირებულ ცხინვალზე გადის. არსებობს ცნობები, რომ საქართველოს ხელისუფლებასთან ამ თემაზე საუბრობდა კიდეც, მაგრამ პრობლემა ის არის, რომ ფინანსურ ინტერესებს მნიშვნელოვანწილად სჭარბობს პოლიტიკა: ცხინვალი ოკუპირებულია რუსეთის მიერ. **სომხეთი იმედიანად უყურებდა 2011 წლის ხელშეკრულების ამოქმედებას, რომელიც ოკუპირებულ ტერიტორიებზე შემავალი ტვირთების მონიტორინგს გულისხმობს, თუმცა დოკუმენტის იმპლემენტაცია ისევ და ისევ პოლიტიკური მოტივებით ამ დრომდე არ დაწყებულა (თბილისი და მოსკოვი მის ტექსტს სხვადასხვაგვარად ინტერპრეტირებენ, პრეტენზიები აქვთ ოკუპირებული ტერიტორიების ფე ფაქტო ხელმძღვანელებსაც); გარდა ამისა, როგორც ოფიციალურმა თბილისმა განმარტა, პოლიტიკური შეთანხმების მიღწევის შემთხვევაშიც, ეს გზა არ იქნება საერთაშორისო.** უცნობია, აგრძელებს თუ არა სომხეთი მცდელობებს ამ მიმართულებით, თუმცა, როგორც ჩანს, მან ალტერნატიული გზების გამოძებნაც გადაწყვიტა.

რა ინტერესი აქვს ერევანს?

HUB Georgia-ს ექსპერტი **პაატა ცაგარეიშვილი** ამბობს, რომ სომხეთისთვის პრიორიტეტული რუსეთთან დამაკავშირებელი საიმედო ალტერნატიული გზების გამოძებნაა:

„როგორც ვხედავ, საბორნე ტერმინალზეა საუბარი, საიდანაც სომხეთს შეეძლება, განახორციელოს როგორც ავტომობილების, ისე სარკინიგზო ვაგონების გადაზიდვა ფოთიდან და ბათუმიდან. თუმცა არ ჩანს, რომელი მიმართულებით. ზოგადად, სომხეთისთვის პრიორიტეტულია, რუსეთთან ჰქონდეს საიმედო, დივერსიფიცირებული სატრანსპორტო მარშრუტები. სადღეისოდ მხოლოდ ერთი არხი არსებობს: საავტომობილო კავშირი ლარსის გავლით, მაგრამ, ვინაიდან ეს კავშირი არამყარია (რთული მეტეოროლოგიური პირობების გამო გზა სეზონურად, წელიწადში 4-5 თვით იკეტება), სომხეთი, ფაქტობრივად, პარალიზებულია. ამიტომაც ერევანი ცდილობს, საქართველოს ნავსადგურებით განახორციელოს გადაზიდვები, ამისთვის კი აუცილებელია რეგულარულობა. ფოთშიც იყო მცირე ზომის საბორნე გემი „ფოთი-კავკაზი“ (რუსეთის რკინიგზის საკუთრებაში) დაყენებული. ბორნის მუშაობისას საქართველოს რკინიგზამ სომხეთს 35%-იანი ფასდაკლება მისცა, რუსეთის რკინიგზამაც გასცა ფასდაკლება. ბორანი თავდაპირველად რეგულარულად მუშაობდა, თუმცა შემდეგ ტვირთების საჭირო ნაკადის მობილიზება ვერ მოხერხდა, მან ფუნქციონირება შეწყვიტა, მაგრამ არსებობს. სავარაუდოდ, სომხეთი ახლა ამ ბორნის ამუშავებას ცდილობს ფოთიდან ან ბათუმიდან და ვფიქრობ, ეს ტექნიკურად შესაძლებელია“.

რა ინტერესი აქვს თბილისს?

ცაგარეიშვილი ამბობს, რომ საქართველოს ინტერესი ძალიან მკაფიოა:

„თუ სომხეთის მხარე პროექტს რეალურად განახორციელებს, ნაწილობრივ განიტვირთება ლარსის გამშვები პუნქტი, ნაკლები დაწოლა იქნება ლარსის ინფრასტრუქტურაზე, ქართული მანქანებისთვის მეტი შეღწევადობა იქნება უზრუნველყოფილი; დაიტვირთება საქართველოს რკინიგზა; ფოთის ნავსადგურის საბორნე ტერმინალი დაიტვირთება და ექნება მეტი შემოსავალი. ამდენად, საქართველოს სატრანსპორტო ინფრასტრუქტურა მნიშვნელოვნად დაიტვირთება და მოხდება ტვირთების გადანაწილება“.

რაც შეეხება იმას, შეუძლია თუ არა საქართველოს, თავად აიღოს ინიციატივა ხელში და მხოლოდ კონკრეტული ადგილი არ დათმოს საბორნე ტერმინალისთვის, ცაგარეიშვილის თქმით, აქ სხვა პრობლემები იჩენს თავს:

„გემის შემოყვანა კი არ არის პრობლემა, არამედ სტაბილური ტვირთნაკადით უზრუნველყოფა. თუ სომხეთის მხარე სტაბილურ ტვირთნაკადს უზრუნველყოფს და რისკებს თავის თავზე აიღებს, ეს მისი საქმეა, ჩვენ ამ რისკის აღება არ გვიღირს. ზოგადად კი, ძლიერი სახელმწიფოსთვის ეს მნიშვნელოვანი საკითხია. ყაზახეთმა და აზერბაიჯანმა საკუთარი ფლოტები გააძლიერეს, საკუთარი ბორნები აქვთ, ეს ავითარებს ამ მიმართულებას, უბრალოდ, ამისთვის ფინანსური სიძლიერეც არის საჭირო“.

საქართველო ბათუმის პორტს ყიდის?

18 დეკემბერს, დღის მეორე ნახევარში სომხურმა და რუსულმა მედიასაშუალებებმა წყაროებზე დაყრდნობით გავრცელეს ინფორმაცია, რომ **„სომხური მხარე დაინტერესებულია ბათუმის პორტის შესყიდვით, რომელიც საქართველოს ხელისუფლებამ 600 მლნ აშშ დოლარად გაიტანა გასაყიდად“.**

მოგვიანებით საქართველოს ეკონომიკის სამინისტრომ „აქცენტის“ კითხვის საპასუხოდ შემდეგი განაცხადა:

„სომხური მედიის მიერ გავრცელებული ინფორმაცია არ შეესაბამება სიმართლეს და ბათუმის პორტი 49-წლიანი იჯარით მართვის უფლებით გადაცემული აქვს შპს ბათუმის ნავთობტერმინალს“.

„პროფესიონალ რკინიგზელთა კავშირის“ დამფუძნებელი **დავით გოჩავა** ზემოხსენებული ტერმინალის გახსნაში პრობლემას ვერ ხედავს, თუმცა ბათუმის პორტის საკონტროლო პაკეტის სხვა ქვეყნისთვის გადაცემის წინააღმდეგია:

„აქციების საკონტროლო პაკეტის გაყიდვის პრაქტიკა ჩვეულებრივი მომენტია. მაგალითად, ჩინელებმა საბერძნეთში პირეოსის პორტის საკონტროლო პაკეტი იყიდეს და დაწყებული აქვთ თავიანთი ტვირთების ევროპის მასშტაბით გადანაწილება განვითარებული სარკინიგზო ქსელებით. მაგრამ მე არ ვუჭერ მხარს, რომ ბათუმის პორტი, მისი საკონტროლო პაკეტი სომხეთმა იყიდოს: ქვეყანამ სატრანსპორტო დერეფანში საკუთარი ფუნქცია სრულფასოვნად რომ შეასრულოს და ამ უპირატესობით ისარგებლოს, სატრანსპორტო სიმძლავრეები მის საკუთრებაში უნდა იყოს. მაგალითად, ბაქო-ახალქალაქი-ყარსის რკინიგზის საქართველოზე გამავალი მონაკვეთი იურიდიულად ჩვენია, მაგრამ რაკი ხელშეკრულებაში იმთავითვე ჩაიდო, რომ სანამ ჩვენ აზერბაიჯანისგან აღებულ სესხს არ გავისტუმრებთ, მანამდე სატარიფო პოლიტიკას საზღვრავს აზერბაიჯანი, ანუ ტერიტორია, რკინიგზა ჩვენია, მაგრამ გადაწყვეტილებების მიღებაზე ხელი არ მიგვიწვდება და არ ვიცით, რა ხდება — ვთამაშობთ სხვისი თამაშის წესებით. იგივე მოხდება ბათუმშიც. რა თქმა უნდა, დასაშვებია, უცხოური ინვესტიცია შემოვიდეს, მაგრამ გარკვეული ზღვარი უნდა არსებობდეს“.

მიხეილ ჩხენკელი: ქუთაისის უნივერსიტეტი მნიშვნელოვანწილად განსაზღვრავს ქვეყანაში აკადემიური პროცესების მიმართულებას

ქუთაისში მიმდინარე **მეგაპროექტის — „ქუთაისის საერთაშორისო უნივერსიტეტის“ დაფუძნებას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს,** — ამის შესახებ საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრმა მიხეილ ჩხენკელმა, პარლამენტში სიტყვით გამოსვლისას განაცხადა.

მინისტრმა ვრცლად ისაუბრა ქუთაისის საერთაშორისო უნივერსიტეტის როლზე და აღნიშნა, რომ პროექტი მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს ევროპულ საგანმანათლებლო სივრცესთან დაახლოებას.

„ეს იქნება ჭეშმარიტად ევროპული საგანმანათლებლო სივრცე. უნივერსიტეტის იდეა ბიძინა ივანიშვილს ეკუთვნის. მისმა ოჯახმა პროექტისთვის ერთი მილიარდი ევროს ქველმოქმედება განახორციელა.

უნივერსიტეტის დაფუძნების დღიდან მჭიდრო თანამშრომლობა მიმდინარეობს მიუნჰენის ტექნიკურ უნივერსიტეტთან. შედეგად შეიქმნა აკადემიური პროგრამები. ეს ნიშნავს, რომ ქუთაისის საერთაშორისო უნივერსიტეტის სტუდენტები ისწავლიან ანალოგიური პროგრამებით, რითაც სწავლობენ მათი თანატოლები გერმანიაში. 2020 წლის სექტემბერში უნივერსიტეტი პირველ სტუდენტებს მიიღებს. ქართველ პროფესორებთან ერთად, ლექციებს წაიკითხავენ მეცნიერები მსოფლიოს წამყვანი უნივერსიტეტებიდან, როგორც გერმანიიდან, ასევე ევროპის სხვა ქვეყნებიდან, აშშ-დან და იაპონიიდან. უცხოელი პროფესორები ლექციებს წაიკითხავენ როგორც აუდიტორიებში, ასევე ონლაინ მეთოდის გამოყენებით. ამ მეთოდის საშუალებით, უნივერსიტეტის აკადემიურ ცხოვრებაში აქტიურად ჩაერთვებიან უცხოეთში მოღვაწე ქართველი მეცნიერებიც“, — განაცხადა განათლების მინისტრმა.

ამასთან, მან ხაზი გაუსვა ადრონული თერაპიის ცენტრის მნიშვნელობას, რომელიც უნივერსიტეტში იფუნქციონირებს.

სოსო გოგაშვილის დუმილი „ნაყიდი“ არ ყოფილა!

სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის ხელმძღვანელის ყოფილი მოადგილე **სოსო გოგაშვილი** სოციალურ ქსელში ასეთ პოსტს აქვეყნებს:

„დილა მშვიდობის, მეგობრებო, ყველას სიხარული მოგცეთ ღმერთმა.

პირადში ძალიან ბევრი უცხო ადამიანი მწერს და საჭიროდ ჩავთვალე, განმარტება გავაკეთო, მეგობრებმა და ახლობლებმა ისედაც იცით იმის მიზეზი, რაზეც ქვემოთ დავწერ:

მოკლედ, მწერენ ძალიან ბევრნი და მეკითხებიან, რატომ არაფერს არ ვამბობ, რატომ ვარ ჩუმად, დამნაშავე ვარ, არა ვარ, რატომ არ ვხსნი იმას, თუ რა მოხდა სალოსის ქუჩის და პანკისის (არა მარტო) სპეცოპერაციის დროს.

მინდა, ყველამ იცოდეთ, რომ ჩემი დუმილი ნაყიდი არაა! მე ძალიან ბევრი მაქვს სალაპარაკო და ბევრ რამეს შემიძლია, ავხადო ფარდა. ის, რაც არ იცის საზოგადოებამ და ის, რაც არ ჩანს ყველასთვის, მაგრამ იქამდე, სანამ პროკურატურა არ დაასრულებს გამოძიებას და არ დაიდება დასკვნა (იმედია, მალე!!!), მე არანაირ განმარტებას და კომენტარს არ გავაკეთებ, რათა ხელი არ შევუშალო ამ საქმის მსვლელობას. დამერწმუნეთ, რომ არაა მარტივი, აიტანო ის სიბინძურე და ცილისწამება, რომელსაც ანთხევენ ულირსი და სულიერად თუ ხორციელად ყოვლად გახრწნილი ბინძური სულის ადამიანები, ჩემი და ჩემი ოჯახის წევრების მიმართ. თქვენ ყველა ძალიან მალე დარწმუნდებით ჩემს სიმართლეში, სისუფთავეში და ქვეყნის მიმართ ერთგულებაში. ის ხალხი, რომელიც ამას კადრულობს, ისეთ დღეში ჩავარდებიან, რომ რუსთაველზე კი არა, ვერსად ვერ გამოყოფენ თავს! ამ ხალხში არიან როგორც დაინტერესებული და დავალებამიღებული პერსონები, ასევე „გუნდის“ წევრებიც, ასე რომ, დაველოდოთ, მალე გაიგებთ სიმართლეს, ბევრისთვის ეს შეიძლება, შოკისმომგვრელიც კი იყოს, მაგრამ სიმართლე სიმართლეა! და ეს სიმართლე ქვეყანას არ დააზიანებს, პირიქით, უთქმელობა აზიანებს ქვეყანას...“, — წერს გოგაშვილი.

ერიდეთ უცოდინარ ექიმებს!

ჯემალ ქარაზანიშვილი

ამ სათაურით გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკაში“ ორი წერილი დავბეჭდე: 2017 წლის 21 ივლისს და 2018 წლის 7 თებერვალს ეს წერილები შპს „აკადემიკოს ნ. ყიფშიძის სახელობის საუნივერსიტეტო კლინიკაში“ (ყოფილი რესპუბლიკური საავადმყოფო) მომხდარ ტრაგედიას ეხებოდა.

2017 წლის 24 მაისს, ამ კლინიკაში სასწრაფო დახმარების მანქანით მიყვანილ პენსიონერს, ასაკთან შედარებით ჯანმრთელ კაცს **ჯემალ ქარაზანიშვილს,** რომელსაც მუცლის ტკივილი აწუხებდა, იმავე საღამოს ექოსკოპიის საშუალებით დაუდგინეს დიაგნოზი — „პერიტონიტი, მწვავე დესტრუქციული ქოლეცისტიტი“. მორიგე ქირურგები ზვიად ძნელაძე და კაკო გუგულაშვილი, არც დაფიქრებულან, პენსიონერი, ასაკოვანი კაცი გადაიტანდა თუ არა ოპერაციას, სხვა გამოკვლევების გარეშე, იმავე საღამოს სასწრაფოდ, ქართველური ჰარიჰარალეთი პაციენტ ჯ. ქარაზანიშვილს გაუკეთეს ნაღვლის ბუშტის ოპერაცია, რომელიც მისთვის საბედისწერო აღმოჩნდა, რადგან აღნიშნული ქირურგების უცოდინარობით გამოწვეული გართულებები მათ არც გახსენებიათ. ოპერაციის შემდეგ მაინც შეემოწმებინათ ასაკოვანი პაციენტის გული და ფილტვები!..

ოპერაციის შემდეგ ჯ. ქარაზანიშვილს უფრო გაურთულდა ჯანმრთელობის მდგომარეობა, რის შემდეგაც წინდაუხედავმა „ექიმებმა“ დაუდგინეს უფრო თავზარდამცემი დიაგნოზი — „ფილტვების არტერიების თრომბოზული ემბოლია“, რითაც სიცოცხლეს გამოასალმეს მუცლის ტკივილით მიყვანილი კაცი. „მცოდნე ქირურგებმა“ კი თავი იმართლეს, ამ ოპერაციამ ასე იცისო. ამ უბედურების შესახებ, რომელიც თავს დამატყდა, მარტოდმარტო დარჩენილმა, განადგურებულმა ადამიანმა მივმართე ჯანმრთელობის დაცვის მინისტრს სერგეენკოს წერილებით: №77594-26 — 26.07.2017 წელს. №90190 — 07.09.2017 წელს; №8270-21.08.2018 წელს. ავუხსენი ვითარება, თან დავურთე დოკუმენტაცია, რაც ხელთ მქონდა და ზემოთ აღნიშნული გაზეთის ორი ნომერი, სადაც დაწვრილებით იყო აღწერილი აღნიშნული ისტორია, მაგრამ მან „მოუცლელობის“ გამო არ მიმიღო.

წერილობით მივმართე, საქართველოს პარლამენტის ჯანმრთელობის დაცვის კომიტეტის თავმჯდომარეს აკაკი ზოიძეს: №21628-10.11.2017 წ.; №2151-13.02.2018 წ. იგივე დოკუმენტაციით და აღნიშნული გაზეთებით.

მივმართე საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის მოადგილეს ირმა ინაშვილს წერილებით: №20790-26.10.2017 წ; №2149-13.02.2018 წ; №4479-22.03.2018 წ. იგივე დოკუმენტაციით.

ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს პარლამენტიდან სწერდნენ: **„გთხოვთ, ოპერატიულად გამოიკვლიოთ აღნიშნული საქმე, პასუხი გვაცნობეთ წერილობით და აცნობეთ განმცხადებელს“. ჩემი განცხადებების საფუძველზე, ჯანმრთელობის დაცვის სამინისტრო მწერდა: „დაწყებულია საკითხის შესწავლა, ჯ. ქარაზანიშვილისთვის აღნიშნულ კლინიკაში გაწეული სამედიცინო დახმარების შესახებ“. შემდეგ წერილებში მწერდნენ: ჯ. ქარაზანიშვილის სამედიცინო დოკუმენტაცია გადაიგზავნა სარეცენზიოდ ექიმ-სპეციალისტებთან, შედეგების შესახებ გაცნობებთ. 2017 წლის 24 მაისი, ოპერაციის გაკეთების დღიდან გავიდა ორი წელი და შვიდი თვე.**

რეცენზენტმა ექიმმა-სპეციალისტებმა თავი არ აიტკივეს და არ გამოთქვეს შენიშვნები, ხოლო ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს კონტროლის დეპარტამენტი იძულებული გახდა, „ცოტაოდენი შეცდომები“ ეღიარებინა დაშვებული აღნიშნული კლინიკის „მცოდნე ექიმების“ მიერ. და ვითომ ჯოხი ორ „ქირურგზე“ — ზვიად ძნელაძეზე და კაკო გუგულაშვილზე გადატეხეს, მესამე — ლეონიდე თოხაძე მე თვალითაც არ მინახავს, არ ვიცი, ვინ არის. მაშინ თვით კლინიკის დირექტორიც უნდა დაადანაშაულონ, რომ უცოდინარ „ექიმებს“ ამუშავებს. ასე შეგნებულად აარიდეს თავი, არ დაადანაშაულეს დანარჩენი „ექიმები“. არ გამოიტანეს სააშკარაოდ მათი უცოდინარობა, რამაც ადამიანის დაღუპვა გამოიწვია, გაუფრთხილდნენ მკვლელი „ექიმების ავტორიტეტს“ და საკუთარ თავს.

აბა, ვინ იყო მათთვის ერთი რიგითი პენსიონერი ჯ. ქარაზანიშვილი?!

იძულებული ვარ, გავიმეორო იმ მწარე დღეების ისტორია დანარჩენი დამნაშავე „ექიმების“ შესახებაც. „აკადემიური დოქტორი“, ალერგოლოგი მურმან კიკვიძეც, რომელიც საუბედუროდ და საბედისწეროდ საავადმყოფოს კორიდორში შეგვეფეთა, როცა ჩვენ ჭრილობის გადასახვევად მივედით საავადმყოფოში 2017 წლის 1 ივნისს, მან თვითონ შეიყვანა ჯ. ქარაზანიშვილი თავის ოთახში.

ჯ. ქარაზანიშვილს არ უთხოვია თავის ბიძაშვილ მურმან კიკვიძისთვის, გამსინჯეო. მ. კიკვიძემ თვითონ გასინჯა ფონენდოსკოპით თავისი მამიდაშვილი. და უთხრა, „ფილტვები კარგიაო“. შეცდომაში შეიყვანა მან თავისი მამიდაშვილი ჯ. ქარაზანიშვილი და ასევე შეცდომით გამოუწერა წამლები. მისი გამოწერილი რეცეპტი მე მაქვს, ეს არ არის დანაშაული?! ჯემალი ვერ სუნთქავს კარგად, პულსი მაღალი აქვს, სიცხეც აქვს-მეთქი, შევჩივლე. „აკადემიურმა დოქტორმა“ შემომიყვირა „რა, მოკვდებაო“?! ასე როგორ უწინასწარმეტყველა, რაც ელოდა თავის მამიდაშვილს. „ფილტვები კარგიაო“ და მის გამოწერილ წამლებს ღებულობდა ავადმყოფი სახლში, ვიდრე უფრო მძიმე მდგომარეობაში ჩავარდნილი ისევ იმავე საავადმყოფოში არ მივიყვანეთ 2017 წლის 2 ივნისს, სადაც დაუსვეს საშინელი დიაგნოზი — „ფილტვების არტერიების თრომბოზული ემბოლია“, ისევ იგივე „ქირურგი“ აღმოჩნდა სასწრაფოში მორიგე — ზვიად ძნელაძე.

ჯ. ქარაზანიშვილი მოათავსეს რეანიმაციაში. დიდი არაადამიანური შეცდომა იყო ის, რომ უგულო „კარდიოლოგმა დოქტორმა“ შეუბრალებელმა მამუკა ქობალავამ უმძიმესი ავადმყოფი ჯ. ქარაზანიშვილი სამი დღის შემდეგ საკუთარი გადაწყვეტილებით რეანიმაციიდან პალატაში გადაიყვანა და ეს ავადმყოფს გადააბრალა, თვითონ ჯ. ქარაზანიშვილმა მთხოვაო. მძიმე ავადმყოფი ამას მოსთხოვდა?! ეს არ არის დანაშაული? ჩემს ტირილსა და თხოვნაზე, მაგას ნუ იზამ-მეთქი, გარეთ გამომაგდო. რეანიმაციის მორიგე „ექიმი“ ანი ჭიპაშვილი დასკვნაში გაკვირით არის ნახსენები, მამუკა ქობალავა კი საერთოდ არ არის ნახსენები.

ანი ჭიპაშვილმა უმძიმეს ავადმყოფს ჯ. ქარაზანიშვილს, რომელსაც ცხვირ-პირზე „ჟანგბადის ჩაშკა“ ეფარა, მჭიროდ ბინტით შემოახვია თავზე ეს „ჩაშკა“ თავის კაც ექთანთან ერთად. ჩემს სიტყვებზე, არ დაახრჩოთ, რას შვრებით, როგორღა ისუნთქებს-მეთქი, გულქვა „ექიმმა“ ყურადღება არ მომაქცია და ბოლოს მანაც გამომაგდო. ასე ვეგდე კორიდორში, ვტიროდი მწარედ და ადამიანიშვილი არ მომკარებია. იმავე ღამით 2017 წლის 6 ივნისს ამოხადეს სული უდანაშაულო პენსიონერ ჯ. ქარაზანიშვილს. მუცლის ტკივილით მიყვანილი კაცი მკურნალობის ნაცვლად უცოდინარმა „ექიმებმა“ მოკლეს და დაზღვევას გადაახდევინეს ოპერაციის და „მკურნალობის“ ფული. არც ეს იკმარეს და ოპერაციის მეორე დღეს ავადმყოფ პენსიონერს უბრძანეს, ოპერაციის ფული 245 ლარი გადაეხადა (ორდერი №1504. ქვითარი ხელზე მაქვს). საქართველოს ჯანმრთელობის დაცვის სამინისტრო ამიას ეძახის „სამედიცინო დახმარებას“?!

ეს იყო „სასიკვდილო დახმარება“, რომელიც გაუწია „ჯანმრთელობის დაცვამ“ უდანაშაულო პენსიონერ მოქალაქეს. უცოდინარმა „ექიმებმა“ თავიანთი უგულობით უდანაშაულო კაცი მოკლეს. დასკვნის შედეგად გამოვლენილი „ექიმების“ მიერ ჩადენილი „შეცდომების“ შესახებ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტრომ არ აცნობა პარლამენტს, მიუხედავად პარლამენტის თხოვნისა, პასუხი გვაცნობეთ წერილობითო. გავიდა ორი წელი და შვიდი თვე, ყველა დამნაშავე „ექიმი“ თავის ადგილზე მუშაობს. ვიღას ახსოვს მსხვერპლი ჯ. ქარაზანიშვილი, ჩემ გარდა.

„სხვისი ჭირი ღობეს ჩხირიო“ — მკვლელი „ექიმების“ ოჯახებმაც გამოსცადონ, რა არის საკუთარი ჭირი. მე კი მარტოდმარტო ადამიანი, ვდგავარ ჯანმრთელობის დაცვის ამხელა აპარატის პირისპირ და სამართალს ვეღოდები. „ექიმებს“, რომლებზეც ვითომ ჯოხი გადატეხეს, თითს დაუქნევენ, ისიც შორიდან, ეგ არის და ეგ. სად არის სამართალი, უპოვნია კი ვინმეს?!

და ამას ჰქვია ჩვენს ქვეყანაში „ჯანმრთელობის დაცვა“!

ნატო ქარაზანიშვილი,
2019 წლის 19 დეკემბერი

P.S. **ეს კია, ბოლოს, როგორც იქნა, სამედიცინო საქმიანობის სახელმწიფო რეგულირების სააგენტომ მომწერა:**

„შესწავლის შედეგებიდან გამომდინარე, სსიპ სამედიცინო საქმიანობის სახელმწიფო რეგულირების სააგენტოს მიერ პროფესიული განვითარების საბჭოს წინაშე დაისვა საკითხი „საექიმო საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონის 74-ე მუხლის შესაბამისად, შპს „აკად. ნ. ყიფშიძის სახ. ცენტრალური საუნივერსიტეტო კლინიკის“ ექიმების: აკაკი გუგულაშვილის (სერტიფიკატი „ზოგადი ქირურგია“), ზვიად ძნელაძის (სერტიფიკატი „ზოგადი ქირურგია“) და ლეონიდე თოხაძის (სერტიფიკატი „ზოგადი ქირურგია“) პროფესიული პასუხისმგებლობის თაობაზე“.

როცა კონსტიტუცია თუ დემოკრატიაც სათავისო ხდება

(პირველი გვერდიდან) ერთი სიტყვით, აქაოდა ჩვენი კონსტიტუცია გვაძლევს ჩვენი აზრის თავისუფლად გამოხატვის უფლებასო, დემოკრატიაცო, ხელიდან არ უშვებენ არც ერთ დიდ მიზეზსა თუ პატარ-პატარა საბაბსაც კი და ავად იყენებიან „უნიათო ხელისუფლების“ ჩამოსაგდებად, ხოლო, თუ ზოგი რამ დასაზუსტებელი აქვთ, ეგრევე კიევში აფრენენ დესანტს ფიურერ სააკაშვილთან. ამ ჯერზე კარგა გვარიანად თავლაფდასხმული და სახელგატეხილი ყოფილი „მეოცნებე“, ჩაკურატებული, ცხონებული ლევან სანიკიძის ბიჭი გუბაზა და ასევე სულგანათლებული პატარკაციშვილის იდუმალ სიკვდილში ასე თუ ისე გარეული გელბახიანი აფრინეს, რომელთაც აკადემიის კურსებზე, ანუ სააკაშვილის მიერ გაშლილ სუფრაზე მიიღეს სამომავლო რევოლუციური განათლება... მეორე დესანტი კი, ვითომ უნდომანდოდ, მოსკოვში გაგზავნეს, თვითონ პუტინთან. მერე ისევ ერთად მიუსხდნენ რევოლუციურ მაგიდას თავიანთი ანტისახელისუფლო, ანტისახელმწიფოებრივი „მოღვაწეობის“ შესაჯამებლად... ამავე დროს „მეოცნებეთა“ მხრიდან ძველ ხელ თუ კბილჩასაჭიდ მიზეზებსა და საბაბებს საკრებულოელი „მეოცნებე“ კუხიანიძის მავნედ ნაბჟუტური მიუმატეს...

და ატყდა აურზაური, მაგრამ რა ატყდა! აყეფდნენ ერთმანეთზე უარესად პირაქაფებული ნაციონალები უგულავა, ბოკერია, დიდი ვაშაძე, პატარა ვაშაძე, ბაქრაძე, ჭიაბერაშვილი, მელიქიშვილი, საიდანღაც გამოძვრა კირკიტაძეც, აბა, ამათ რას დააკლდებოდნენ სამადაშვილის შეჭყლეტილნესტოებიანი ქალი, პარლამენტის მოშხამვაში ეჭვმიტანილი ნადირაშვილის ქალი და ქალბატონი ქებურია. ხოლო ცნობილი „რევოლუციონერები“ დეკანოიძე და ხოშტარია, რომელთაც საკრებულოში პოლიტიკური ხულიგნები, შუმი ნაციონალები ხაბეიშვილი და ნადირაძე დახვდნენ, თვით საკრებულოს თავმჯდომარეს ტყემალაძეს მიეჭრნენ, ძეს ზურაბისას, და მოსთხოვეს პირობა, რომ „მეოცნებე“ უმრავლესობა კუხიანიძეს ჩამოახრჩობდნენ... ამ მოთხოვნისა და ჩვენი აზრის თავისუფლად გამოხატვის უფლებას, ვერ გაიგეთ, რომ თვით ჩვენი კონსტიტუცია გვაძლევს, დემოკრატიაცო, თქვენ, ბატონო, პირში ბურთი ჩაიჩარითო...

რა გამოდის, კონსტიტუცია მარტო ნაციონალებისთვის მუშაობს, დემოკრატიაც, ხოლო „მეოცნებეთ“ უფლებას არ აძლევს ხან თუნდაც მავნე, ანტისახელმწიფოებრივი აზრი თავისუფლად გამოთქვას თუ გამოხატოს, რაც ამ შემთხვევაში კუხიანიძეს დაემართა. რასაკვირველია, მან საშინლად მიჰქარა, როგორც იტყვიან, ჭამა, როცა ოკუპანტთაგან დატყვევებული ვაჟა ექიმის გმირული საქციელი პროვოკაციად მონათლა, რისთვისაც ჩვენმა „მეგობარმა“ ოსებმა და ოკუპანტმა რუსებმა, მიუხედავად დაპირებისა, ვაჟა ექიმი ახალ წელს ოჯახში შეხვდებაო, გუშინ უსინდისოდ წელიწადი და ცხრა თვე მიუსაჯეს, მაგრამ თავისი აზრის, ამ შემთხვევაში აშკარად პროვოკაციული, დასაგმობი აზრის თავისუფლად გამოხატვის უფლება ვინ წაართვა?!

მოკლედ, ასეთი საშინელება ყოველთვის ხდებოდა, ხდება და მოხდება ავად ჩასაფრებულთა მხრიდან (სხვათაგან ნაყიდ არასამთავრობოებზე არაფერს აღარ ვამბობ), თუ კონსტიტუციას, ანუ ამ უზენაეს კანონთა წიგნს და დემოკრატიას მხოლოდ და მხოლოდ სათავისოდ იყენებენ და სხვათ არ აძლევენ საკუთარი აზრის, როგორც უკვე ვთქვით, თუნდაც აშკარად პროვოკაციული, დასაგმობი აზრის თავისუფლად გამოხატვის უფლებას.

არადა, საზოგადოებამ უნდა უწყოდეს როგორც შენი მავნე, ისე ჩემი მიქარული აზრი.

გურამ წიკლაური

ქალაქისთავის სიტყვა:

თბილისის კლასიკური გიმნაზიის დაქცევა და აღორძინება

ავადსახსენებელი 90-იანი წლების დასაწყისში თბილისში სამოქალაქო დაპირისპირება, მართალია, ხანმოკლე, მაგრამ სისხლიანი და სასტიკი იყო. ხალხი ქვემეხების გრუხუნის თანხლებით იძინებდა და იღვიძებდა. ინფორმაცია ახალ-ახალი მსხვერპლის შესახებ ქალაქში ელვის სისწრაფით ვრცელდებოდა. სამწუხაროდ, ამ სასაკლაომ არც ჩემს ახლობელ ადამიანებს აუქცია გვერდი. იმ ძმათამკვლელ დაპირისპირებაში დაიღუპა ჯერ კიდევ ახალგაზრდულ გაზეთში ჩემი კოლეგის, როგორც იტყვიან, ჩემ თვალწინ გაზრდილი ვაჟიშვილი. ახალი წლის პირველ დღეებში უკვე ახალგაზრდა მამაკაცად ქცეული, ოდესღაც პატარა ბიჭუნა, რომელმაც ღვთის განგებით მეუღლეობაც და მამობაც ის-ის იყო მოასწრო, სასაფლაოზე წაასვენეს...

თუმცა, მოგეხსენებათ, ყოველივეს აქვს დასაბამიც და დასასრულიც...

1992 წლის 6 იანვრის ღამეს სროლა შეწყდა. საყოველთაო აღფრთოვანების ტალღაზე ხელისუფლებაში მოსულ ზვიად გამსახურდიას დასახმარებლად, რომელიც ბოლო დღეების განმავლობაში ალყაშემორტყმული მთავრობის სახლის ბუნკერში იცავდა თავს, არავინ მივიდა.

ერთ მუჭა მომხრეებთან ერთად ის იძულებული იყო, თბილისიდან გაქცეულიყო. პირველსავე „სამშვიდობო“ დღეს უამრავი თბილისელი მივიდა რუსთაველის პროსპექტზე, სადაც თვალწინ გამაოგნებელი სურათი გადაეშალათ: მათი საყვარელი ქალაქი, რომელიც მკვიდრად იყო აღმართული სულ რაღაც ორი კვირის წინათ, ფაქტობრივად, აღარ არსებობდა. ნანგრევები იყო მარჯვნივ, ნანგრევები იყო მარცხნივ... ქვემეხების ჭურვებმა და ხანძარმა დაამახინჯეს სასტუმრო „თბილისი“ და კავშირგაბმულობის სახლი, მაგრამ ყველაზე მეტად დაზარალებული იყო მთავრობის სახლი და მის ირგვლივ შენობები, რომლებიც ბრძოლების ეპიცენტრში აღმოჩნდნენ. ქვა ქვაზე არ დარჩა ყოფილი სასტუმრო „ინტურისტისგან“.

უწყვეტ ნაკადად მოედინებოდნენ ადამიანები, დაბნეულები შესცქეროდნენ ამ მოღაღადე ნანგრევებს და თვალებს არ უჯერებდნენ. თითოეული ამის მხილველი კი გულში ფიქრობდა: განა რამდენი დრო დასჭირდება ასე დასახიჩრებულ ქალაქს, რომ ძველი იერი აღიდგინოს?

დახმარების ხელი თბილისელებს პირველმა მოსკოვმა გამოუწოდა. 1992 წლის მარტში საქართველოში დაბრუნდა ედუარდ შევარდნაძე, მალე კი თბილისში რუსეთის დედაქალაქის წარმომადგენლობითი დელეგაცია ჩამოვიდა, მაშინდელი მერის გავრიილ პოპოვის მეთაურობით. საქართველოს სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარის რეზიდენციასთან შეგროვილი ჟურნალისტები საგულდაგულოდ აკვირდებოდნენ მოსკოვური დელეგაციის ყოველ ნაბიჯს. აი, მოლაპარაკებებიც დამთავრდა, ვიზიტის მსვლელობისას ჩატარებული მუშაობის დამაჯამებელ მოკლე ბრიფინგზე გავრიილ პოპოვმა განაცხადა: **„მოსკოვის მერია თბილისის პირველი სკოლის აღდგენისა და რეკონსტრუქციისთვის ყველა ხარჯს იკისრებს“.**

რამდენიმე თვის შემდეგ კი ჩემთან საუბრისას ერთმა ცნობილმა პოლიტიკოსმა შემომჩივლა: „პირველი სკოლის აღდგენა სხვის ხელში არ უნდა ჩაგვეგდო, პირველი სკოლა ჩვენი ერის სიწმინდეა და წესრიგში ჩვენივე ხარჯებით უნდა მოგვეყვანა!“ რა უნდა მეთქვა, ჩემი თანამოსაუბრის მსჯელობას ლოგიკა არ აკლდა. კაცმა რომ თქვას, არც გავრიილ პოპოვი და იური ლუჟკოვი არ იყვნენ სულელები, რაში სჭირდებოდათ თბილისის სასტუმროების, კავშირგაბმულობის სახლის, ანდა თავად მთავრობის სახლის აღდგენაზე ზრუნვა?! ამ კითხვაზე პასუხი ცხადზე ცხადი იყო: თავად დაანგრიეთ — კეთილი ინებეთ და თავადვე აღადგინეთ! პირველი სკოლა კი — საგანმანათლებლო-კულტურული კერა, თავის დროზე საქართველოში იმ ხალხის მიერ აგიზგიზებული კერა, რომელთაც მომავლის განჭვრეტა შეეძლოთ, სულ სხვაა. პირველი სკოლა — ესაა გონივრული, სასიკეთო, მარადიული რამ! სწორედ ამით ხელმძღვანელობდა ორივე მოსკოველი ქალაქისთავი — თავდაპირველად გავრიილ პოპოვი, შემდეგ კი მისი ადგილმონაცვლე იური ლუჟკოვი.

თბილისის პირველი კლასიკური გიმნაზიის არქივებიდან: **„1803 წლის 8 აგვისტოს, თავად პავლე დიმიტრის ძე ციციანოვის მიერ წარმოდგენილი პროექტის უზენაესი დამტკიცებით, 1804 წლის 21 მაისს, რუსული და ქართული ენების შესწავლის მიზნით, ტფილისში დაარსდა კეთილშობილთა სასწავლებელი.**

1807 წელს კი დადგენილ მეცნიერებათა გარდა, შემოიღეს აგრეთვე გერმანული და ლათინური ენების სწავლება. კურსდამთავრებულებს ენიჭებოდათ მოსკოვის საუნივერსიტეტო სახაზინო კეთილშობილთა პანსიონში შესვლის უფლება სწავლის გაგრძელების მიზნით“.

26 წლის განმავლობაში თბილისის კეთილშობილთა სასწავლებელი, საქართველოს ერთადერთი საერო სასწავლებელი იყო. ამ დროს აქ სწავლობდნენ მომავალი ფილოსოფოსი სოლომონ დოდაშვილი, მომავალი პუბლიცისტი, მწერალი და მთარგმნელი დიმიტრი ყიფიანი, მომავალი დრამატურგი, რეჟისორი და მსახიობი გიორგი ერისთავი.

1820 წელს კეთილშობილთა სასწავლებელში (შემდგომ გიმნაზიაში) ისწავლებოდა: ღვთის კანონი, რუსული, ქართული თურქული (აზერბაიჯანული), სომხური, ლათინური და გერმანული ენები, არითმეტიკა, ალგებრა, გეომეტრია, რუსეთისა და საქართველოს ისტორია, ზოგადი გეოგრაფია, ხატვა და ფერწერა. შექმნის დღიდან მოყოლებული გიმნაზია საუცხოოდ იყო მომარაგებული სახელმძღვანელოებითა და კლასგარეშე ლიტერატურით.

XIX საუკუნის 80-იან წლებში გიმნაზიის ბიბლიოთეკა 15766 ეგზემპლარ წიგნს მოიცავდა. მოსწავლეები უცხოენოვან სპექტაკლებს დგამდნენ; გიმნაზიას ჰყავდა უფროსკლასელებით დაკომპლექტებული საკუთარი ორკესტრი. ზოგადსაგანმანათლებლო საგნების გარდა გიმნაზიაში ტარდებოდა მუსიკისა და ცეკვების, ტანვარჯიშისა და ფარიკაობის გაკვეთილები; ღვთისმსახურებას აღასრულებდნენ მართლმადიდებელი და სომხურ-გრიგორიანელი მღვდლები, რომაულ-კათოლიკური და ლუთერანი პასტორები, იუდეველი და მაჰმადიანი ღვთისმსახურები. 1906 წელს გიმნაზიაში უკვე 918 მოსწავლე სწავლობდა.

ამონარიდი მოსკოვის მერის იური ლუჟკოვის 1994 წლის ინტერვიუდან: **„თბილისთან უაღრესად გულთბილი მოგონებები მაკავშირებს. ჯერ კიდევ სტუდენტად ყოფნის დროს ერთხელ სამი დღე-ღამით თბილისის აეროპორტში გავიჭედე — ფრენა არ იყო. რაც ფული მქონდა, მოგზაურობაში დამეხარჯა. ჰოდა, მთელი ამ დღეების განმავლობაში აეროპორტში გაცნობილი ერთი ხანდაზმული ქალბატონი თავისი საჭმლით მკვებავდა. ის დიდებული მანდილოსანი დღემდე მახსოვს!“**

...ის მშენებლობა კი თბილისის ცენტრში დაიწყო და ათასობით მოქალაქის თვალწინ დასრულდა. საკმარისი იყო, რუსთაველის პროსპექტზე გასულიყავით, რომ შეუსვენებლად მომუშავე ამწეებს, მოფუსფუსე სატვირთო ავტომანქანებს დაინახავდით. საიდანღაც გაჩნდა იშვიათი იმხანად საშენი მასალები. ქაოსისა და ნგრევის შემდგომ უმუშევრობით გაგუდულ ქალაქში, რომლის მოსახლეობა კვების ელემენტარული პროდუქტების საყიდლად უზარმაზარ რიგებში დგებოდა, ყოველივე წყვდიადში გამომკრთალ სინათლის სხივს ჰგავდა...

ამონარიდები იმ დროის პრესიდან:

„1992 წლის იანვრისთვის თბილისის ცენტრი, პრაქტიკულად, დანგრეული იყო. შენობები, რომლებსაც ჰაუბიცები ცეცხლს პირდაპირ უშენდნენ, ან დაიწვა, ან ნამსხვრევებით დიდად იყო დაზიანებული.“

თბილისის პირველი კლასიკური გიმნაზიის არქივებიდან: **„სხვადასხვა წელს თბილისის კლასიკური გიმნაზია დაამთავრეს საქართველოს, რუსეთის, უკრაინის ისეთმა გამორჩეულმა მოღვაწეებმა, როგორებიც არიან: ნიკოლოზ ბარათაშვილი, ბესარიონ ღოღობერიძე, სერგეი ვიტე, მიხეილ გრუშევსკი, ივანე ჯავახიშვილი, ივანე ერმაკოვი, ივანე და დავით კერესელიძეები, ბორის და გიორგი ლეგრანები, ვლადიმერ ნემიროვიჩ-დანჩენკო, ალექსანდრე სუმბათაშვილი, ილია ჭავჭავაძე... 1900-1903 წლებში სკოლაში სწავლობდნენ დიმიტრი და ნიკოლოზ გუმილევები — ძმები ჯერ ტფილისის მე-2 გიმნაზიაში შეიყვანეს, მაგრამ მალევე პირველ გიმნაზიაში გადაიყვანეს“.**

გაზეთებიდან: **„საქართველოს დედაქალაქის ცენტრში დანგრეული შენობებიდან ძველი იერი აღიდგინა ყოფილმა თბილისის გიმნაზიამ, რომლის აღდგენა მოსკოვის მერიის შემწეობით მოხდა, რისთვისაც დიდ მადლობას მოგახსენებთ“.**

სათქმელად ყველაფერი ადვილია, გაკეთებას კი წვალება და დრო უნდა. ის, რის გაპარტახებასაც თბილისის დამანგრევლები რამდენიმე დღე მოუნდნენ, წლების მანძილზე შენდებოდა. გიმნაზიის აღდგენას სამი წელი დასჭირდა. სასწავლებლის ხელახალი საზეიმო გახსნა ახალი სასწავლო ციკლის, 1995 წლის 1 სექტემბერს დაინიშნა. წინა დღით თბილისში მოსკოვის მერი იური ლუჟკოვი ჩამოვიდა, რომელსაც მისი მოადგილე ლუდმილა შევცოვა ჩამოჰყვა — ბოლო ეტაპზე ის გიმნაზიის მშენებლობას ხელმძღვანელობდა, საქართველოს სკოლებს ყურადღებას არც მომდევნო წლებში აკლებდა.

გახსნის ცერემონიას დაესწრნენ საქართველოს მთავრობისა და თბილისის მერიის ხელმძღვანელები. ბევრი მისასალმებელი და სამადლობელი სიტყვაც ითქვა. არც გავრიილ პოპოვი დავიწყებიათ, რომელმაც 1992 წელს მოსკოვური დელეგაცია დანგრეულ თბილისში ჩამოიყვანა და გიმნაზიის, პრაქტიკულად, ხელახლა აშენების პირობა დადო. შემდეგ ახლად აგებულ შენობაში სასკოლო ზარიც გაისმა, დერეფნებში კი კვლავ გაისმა ბავშვების ჟრიამული. ყოველივე თავის წრეზე დაბრუნდა. საქართველოს დედაქალაქში პირველი გიმნაზია ისევ ის გახდა, რაც ყოველთვის იყო — ყოველივე სიკეთის, გონიერისა და მარადიულის მთესველი.

ჟურნალისტი მზია ფარესაშვილი მაშინ წერდა: **„თბილისში ბევრი მშობელი ნატრობს, რომ მათი შვილები პირველ გიმნაზიაში დაეუფლონ ცოდნის წყაროს. ეს სასწავლებელი ბევრი ნიშნით მართლა გამორჩეული სკოლაა. სწორედ აქ სწავლობდა ბევრი ქართველი მწერალი, პოეტი, საზოგადო მოღვაწე. გიმნაზიის კედლებზე მრავალი მარმარილოს ფილაა სახელოვანი კურსდამთავრებულების სახელებით. მართალია, მათ შორის არ არის თანამედროვე პოლიტიკოსთა და საზოგადო მოღვაწეთა სახელები, თუმცა ძველ გიმნაზიელებს მათი დასახელება არ გაუჭირდებათ. მაგალითად, ბადრი პატარკაციშვილისა, რომელმაც თავისი გულკეთილობით თავი ბევრს დაამახსოვრა როგორც ბავშვობაში, ასევე მოწიფულ ასაკში. გაჭირვების წლებში ის დიდ დახმარებას უწევდა პედაგოგებს“.**

პირველი ქართული სპექტაკლი — გიორგი ერისთავის „გაყრა“, 1850 წელს სწორედაც გიმნაზიის სააქტო დარბაზში დაიდგა. პედაგოგები სინანულით აღნიშნავენ, რომ ლაბორატორიებისა და ბიბლიოთეკის ყველა უნიკალური ექსპონატი 1992 წლის სამოქალაქო ომის დროს განადგურდა.

„შემდეგ კი სკოლა ხელახლა აშენდა გავრიილ პოპოვისა და იური ლუჟკოვის დახმარებით, შენობაც უკვე ახლებურად დაპროექტდა. მოსკოვის მერიის დელეგაცია გახსნაზეც იყო ჩამოსული. მაშინ რუსეთი და ჩვენ ერთმანეთს კარგად ვეწყობოდით“, — აღნიშნავენ ისინი.

...რუსთაველის პროსპექტის ცნობილი პეიზაჟია ქართული კულტურის ორი ბუმბერაზის — ილია ჭავჭავაძისა და აკაკი წერეთლის ძეგლი. პირველი კლასიკური გიმნაზიის წინ თითქოს ცოტა ხნის წინათ, საბჭოურ წლებში დაიდგა, მაგრამ ამ ხნის მანძილზე რამდენი რამ მოხდა თბილისში და რამდენი ამბის მომწრენი გახდნენ ამ ქანდაკების პერსონაჟები.

ამ ეტყველება რომ შეეძლოთ, ამ ამბებს სასრული არ ექნებოდა.

ვადიმ ანასტასიადი,
გაზეთ „ვეჩერნი ტბილისის“ მთავარი რედაქტორი

...ვით შეეჰფერის კაცსა კაცობა



— მე თუ მკითხავთ, — შეყოვნდებოდა ზურაბ ლაშხია, მსახიობისთვის შესაფერისი არტისტულობით რომ ჩაატარებდა თავის გამოსვლას, ამჯერად კი შთამაგონებელ პაუზასაც მოიშველიებდა, — ჩვენი მთავრობის წარმომადგენლები სხედან აქ და, მით უმეტეს უნდა ვთქვა, ზუგდიდში უსათუოდ უნდა დაიდგას ზურაბ ცხონდიას ძეგლი...

და კიდეც იქუხებდა ტაში ზუგდიდის ახალგაზრდობის სასახლის დარბაზში, ისე გადაჭედილში, ნემსის ჩასაგდები ადგილიც რომ არ მოიძებნებოდა და ფეხზეც ბლომად ხალხი იდგებოდა.

მსახიობი ყველას გულისთქმას გაახმაურებდა და ამიტომაც გამოიწვევდა ასეთ სიხარულს.

ზურაბ ცხონდიას ძეგლი უთუოდ უნდა დაიდგასო...

ბატონი ზურაბი წერდა მშვენიერ ლექსებს, თუმცა მასზე უკეთესი პოეტები ზუგდიდსაც ჰყოლია, არამცთუ სამეგრელოს მხარეს.

მღეროდა შესანიშნავად, მაგრამ მასზე უკეთესი მომღერლებიც მოიძებნებოდნენ იქავე.

წერდა ჩინებულ პუბლიცისტურ და ლიტერატურულ სტატიებსა და თეატრალურ რეცენზიებს, თუმცა, არანაკლები პუბლიცისტებიც და თეატრალებიც მოიძებნებოდნენ გარშემო.

არანაკლები მკვლევარებიც.

არანაკლები ორატორებიც და ლექტორებიც.

და მაშ, მისი ძეგლი რატომ უნდა დადგმულიყო? მაინც რა გამოარჩევდა ასერიგად სხვათაგან, ასე რომ გასიმბოლოებულიყო მისი სახელი?

სწორედ ის, რაც გამოარჩევდა თავის დროზე თუნდ გიორგი ლასხიშვილს.

ეს ღირსეული პიროვნება ძალზე თავმდაბლად აფასებდა თავის ლიტერატურულ და საზოგადოებრივ მოღვაწეობას?

მაგრამ გერონტი ქიქოძე თანამედროვეთა გულისთქმასაც გამოხატავდა, როდესაც ავტობიოგრაფიულ რომანში აღნიშნავდა:

გიორგი ლასხიშვილი თავისი გულთბილობით, გონებამახვილობითა და ტაქტით იმ ადამიანთა რიცხვს ეკუთვნოდა, რომლებიც უფრო საზოგადოების სამკაულს წარმოადგენენ, ვიდრე მწერლობისა და პოლიტიკური ტრიბუნისა. და მას საზოგადოებაში მეტი სიყვარული და პატივისცემა ჰქონდა დამსახურებული, ვიდრე ბევრ მასზე უფრო გამოჩენილ მწერალსა და პოლიტიკურ მოღვაწესო.

რაოდენ ზუსტად მიგნებული შეესიტყვებაა, ზნეობრივ ფორმულადაც რომ წარმოგვიდგება საზოგადოების სამკაულიო!..

და ის, რასაც თანამედროვენი ირწმუნებიან გიორგი ლასხიშვილზე, დაბეჯითებით შეიძლება განვაცხადოთ ზურაბ ცხონდიაზეც:

ისიც საზოგადოების სამკაული გახლდათ.

და ამიტომაც გასიმბოლოვდება თავისთავად და ძალდაუტანებლად მისი სახელიც, რის ხელშესახებ დასტურად და გამოხატულებადაც უნდა იქცეს ის ქანდაკება, რომელიც მისივე სახელობის ქუჩაზე უნდა დაიდგას.

და ამ იდეის გახმიანება რომ მარტოდენ სურვილი არ არის და რეალურადაც შეიძლება შეესხას ხორცი, ეს უკვე სამეგრელო-ზემო სვანეთის მხარის ადმინისტრაციის წარმომადგენელს ლაშა გვასალიას უნდა განეცხადებინა, ერთ ყველაზე განათლებულ პიროვნებას არამცთუ პოლიტიკოსთა, არამედ მწერალთა შორისაც, და აღეთქვა ხალხისთვის ამ წადილის აღსრულება.

ეს ძეგლი ისევე დაამშვენებს ზუგდიდს, როგორც ზურაბ ცხონდია ამშვენებდა ამ ქალაქს და ამ გადმოსახედიდან — მთელს საქართველოსაც.

და ის თავყრილობაც გამორჩეულად აღიბეჭდებოდა ზუგდიდისა და მთელი საქართველოს საზოგადოებრივ-კულტურულ ცხოვრებაში, დიდებული სპექტაკლის მხილველნი რომ გაგვხადეს.

ეს იმიტომ:

წინასწარი სამზადისი თამუნა ცხონდიას თაოსნობით წარიმართა ისე, რომ: ყველაფერი — საერთო გარემო, დეკორაციები — ყოფილიყო უბრალო და მდიდრული სწორედ იმ უბრალოებით.

და იმიტომ, რომ:

წამყვანად შეირჩა ზვიად კვარაცხელია, ახალთაობის ერთი ყველაზე გამორჩეული მწერალიც და გამომცემელიც, ბატონი ზურაბის მოწაფე და საკმაოდ გამოცდილიც ლიტერატურულ თავყრილობათა თაოსნობა-წარმართვაში... მაგრამ ხომ ხდება, რომ დროდადრო შეგიძლია შენს თავსაც აჯობო. და იმ საღამოს სწორედ ეს უნდა მომხდარიყო, საერთო ფონი და სიუჟეტური ქარგა ზვიადს ოსტატურად რომ უნდა შემოექსოვა, და ბუნებრივად ჩავერთეთ მის მსვლელობაში:

მეცნიერები ზეინაბ სარია და ნესტან ფიფია, საჯარო ბიბლიოთეკის დირექტორის მოადგილე მანანა გვარამია, საზოგადოება „ზუგდიდელის“ თავმჯდომარე მურმან ნაჭყებია... და თამუნა ლილუაშვილსაც უნდა გაელამაზებინა ხსოვნის საღამო მომხიბლავი სიმღერით.

მეორე დღესაც და კარგა ხანსაც ზუგდიდს სხვა სალაპარაკო არც ექნებოდა, გარდა ამ თავყრილობიდან გამოყოლილი შთაბეჭდილებებისა.

საღამოს სიმაღლე და მნიშვნელობა კი ბევრწილად უნდა განესაზღვრა „ინტელექტის“ მიერ გამოცემულ დიდტანიან წიგნს: „გრანელის სევდა და სხვა“ — რომელიც მოიცავს მონოგრაფიას შემოქმედების კვლევა-გააზრება; და „ფიქრები ტერენტი გრანელზე“ უკვე გვერდით დაუდგა ლერი ალიმონაკის ბიოგრაფიულ რომანს, ლუარა სორდიას მონოგრაფიას, გენო ქელბაქიანისა და გაიოზ იმედაშვილის მოგონებებს, რეზო ჭეიშვილის ნოველას...

წიგნისთვის დართულ მინაწერში ლევან ბრეგაძეს საგანგებოდ უნდა გამოერჩია ზურაბ ცხონდიას ხასიათის ერთი არსებითი ნიშანი:

მაშინაც კი, როცა გეკამათებოდა, გრძნობდი — შენ წინაშე იდგა არა მოწინააღმდეგე, არამედ თანამგზავრი ჭეშმარიტებისაკენ მიმავალ გზაზე. და სწორედ ეს ჰმატებდა ამ ინტერესმრავალ პიროვნებას, ღრმააზროვანი საუბრების დიდოსტატს, არაჩვეულებრივ მომხიბვლელობასო.

და კიდევ:

ამ წიგნიდან ისიც კარგად ჩანს, რა ბედნიერებაა ამგვარი კაცის ყოლა ნებისმიერი ქალაქისთვისო.

ეს ხომ იგივეა:

საზოგადოების სამკაული გახლდათო.

ამიტომაც დაჰყვებოდნენ ახალგაზრდები ქუჩა-ქუჩა, პერეპათეტიკოსებივით, რათა კვლავდაკვლავ ესმინათ მისი მღელვარე მონოლოგები, იმ არტისტიზმით აღსავსე, მსახიობობაზე ოცნებიდან რომ შემორჩენოდა და ახლა კათედრიდან, ტრიბუნიდან თუ ქუჩა-მოედნებზე იკლავდა იმ ჟინს.

არც ერთი ლიტერატურული თავყრილობა უიმისოდ არ ჩაივლიდა, არც ერთ საზოგადოებრივ მოვლენას არ გამოაკლდებოდა, ყველგან უნდა ყოფილიყო და ყველგან წარმოეთქვა სიტყვა, რადგანაც სწორედ მის გამოსვლას ელოდნენ განსაკუთრებული ცნობისწადილით. იცოდნენ, უსათუოდ იტყოდა რაღაც განსხვავებულს, ღრმააზროვანსა და დასამახსოვრებელს.

არც ანდრია დადიანის ძეგლის დადგმას გამოაკლდებოდა, ჩვეული გამოსვლით რომ დაამშვენებდა იმ შეკრებასაც.

ანდრია დადიანი შესანიშნავად თამაშობდა ჭადრაკს, თუმცა, მასზე უკეთესი მოჭადრაკენიც არსებობდნენ.

გამოირჩეოდა ქველმოქმედებით, თუმცა მასზე დიდი სახელი ამ მხრივ სხვებს მოეხვეჭათ.

აღიარებულიყო ვაჟკაცობითა და შეუპოვრობით, თუმცა ამ მხრივაც სხვებს უფრო დიდი სახელი დაეგდოთ.

მაგრამ ანდრია დადიანს ჰქონდა ერთი უპირატესობა სხვებთან შედარებით:

ისიც თავისი დროის საზოგადოების სამკაულად წარმოდგებოდა.

თუ რომელიმე ქალაქს, ზუგდიდსაც ამშვენებს დაფასება თავისი ღირსეული შვილებისა.

და როგორც თუნდ ანდრია დადიანის ქანდაკებას მივეახლებით ხოლმე, მაღლე ასევე მოგვიწევს მიახლება ზურაბ ცხონდიას ძეგლთანაც.

გადადება-დაგვიანება არ ივარგებს.

* * *

ერთ-ერთი განყოფილება „ინტელექტის“ გამოცემულ წიგნში ესეცაა: „ის კაცი იყო...“

წიგნიერი მკითხველი ადვილად ამოიცნობს ამ მინიშნებას, სტრიქონს უილიამ შექსპირის „ჰამლეტიდან“, როდესაც ჰამლეტი მოინდომებს, დაახასიათოს მამამისი, ბევრ ლაპარაკსა და ქება-დიდებას არ მოჰყვება და იმის გამორჩეულ პიროვნებას ამ სიტყვებში დაწურავს, თავისებურ ლიტერატურულ ფორმულაში:

ის კაცი იყო, ვით შეეჰფერის კაცსა კაცობაო.

მართლაც შექსპირული ძალის სტრიქონია, ერთბაშად რომ წარმოსახავს ღირსეული პიროვნების სულიერ ღვაწლს.

და ეს ანდაზისმაგვარი ფრაზა ზუსტად მიესადაგება ზურაბ ცხონდიას პიროვნებასა და ღვაწლსაც:

ის კაცი იყო, ვით შეეჰფერის კაცსა კაცობა!..

* * *

და მისი ხსოვნის სპექტაკლიც სწორედ ისეთი იყო, ვით შეეჰფერის სპექტაკლს სპექტაკლობა!..

როსტომ ჩხეიძე

ადამიანებზე

მეზობლები თუ აგარაკზე არიან, ბევრი არაფერი, ისინი მოყვასნი არიან, ან მტერნი. ლონდონში კი სავსებით სხვა ამბავია, იქ ადამიანებთან უბრალოდ მეგობრული ურთიერთობა გაქვს.

* * *

როგორც ბევრი რამ, რაც ჩვენს ცხოვრებაშია, ადამიანებს შიშის მცირეოდენი ულუფაც ეჭირვებათ.

* * *

ადამიანის სულ მთლად ცნობა შეუძლებელია, თუმცა, ხანისად კანთიელად წამიერი აფეთქებისას ვხედავთ, ჭეშმარიტად ვინც არის. ვფიქრობ, ესა თუ ის მოგონება, რა უმნიშვნელოდაც არ უნდა გვეჩვენებოდეს, უთუოდ ნათელსა ჰფენს ადამიანის შინაგან არსს, რაობას.

* * *

არაფანტაზიორი, ანუ ვინც „ოცრობოდოა, არცროდის მახეში არ გაებმება, მახეში ადვილად ხვდებიან წარმოსახვიანი ადამიანები.

* * *

ადამიანებს ბევრად უფრო ის აგულისყურებთ, გონიერი, შრომისმოყვარე თუა ადამიანიშვილი, მოაქვს თუ არა სარგებელი რამ საზოგადოებისთვის, ჯდება თუ არა ყოფაქცევისთვის მიღებულ ჩარჩოებში.

* * *

ადამიანის მიერ ჩადენილი ბოროტება თვით ამ ადამიანზე მეტხანს ცოცხლობს.

* * *

როცა გუნებაში რაღაც გაეჭვიანებს, როგორც კი მავანი მსგავს ვარაუდს ხმამაღლა გამოთქვამს, უთუოდ ეგრევე გინდება იმ ვარაუდის უარყოფა.

* * *

პატიოსან და წესიერ ადამიანს არა მარტო კარიერა, არამედ ხშირად მთელი ცხოვრებაც ენგრევა მხოლოდ იმ ეჭვის საფუძველზე, დადასტურებაც რომ შეუძლებელია და გულიდან ამოგდებაც.

* * *

რა პარადოქსულიც არ უნდა იყვეს, რევოლუცია შეუძლებელია, თუ პატიოსანი ადამიანები არ მონაწილეობენ. ხალხი უმალ უღებს ალღოს თაღლითებსა და ყალთაბანდებს.

* * *

ყოველი ჩვენგანი წინააღმდეგობათა, ვნება-სურვილთა და მიდრეკილებათა ხლართია. ჩვენ ჩვენსას ვასკვნით და ცხრა შემთხვევიდან ათში მართალნი არ აღმოვჩნდებით ხოლმე.

* * *

ადამიანები ხშირად იმის გამო წუხან, მეზობლები რას იფიქრებენ ჩვენზეო. მაწანწალები და არისტოკრატნი კი არცრა ყურადღებას არ აქცევენ და ისე იქცევიან, როგორც მოეპრიანებათ.

* * *

ნურცროდის ნუ იფიქრებთ, რომ თქვენ უკეთესად ერკვევით იმ ამბავში, რაც სხვა ადამიანთ უნდათ.

* * *

ადამიანები გარემოცვის ყურადღების ღირს რასმე რომ მოახელსაქმებენ, წარმატებას მიელტვიან, რათა თავი დაიმკვიდრონ.

* * *

ადამიანი თუ ხმამაღალი ფრაზებით და კეთილშობილური პრინციპებით თავისი სისუსტის დამალვას ცდილობს, თავისდა უნებურად ეჭვს იწვევს.

* * *

თუ არ მოუსმინე, ნუ განსჯი ადამიანს.

* * *

კარიერისტთა უმრავლესობა ბედასლი ადამიანები არიან. ამიტომაც ირჯებიან წარმატების მისაღწევად და ცდილობენ, რომ თავიანთ თავს დაუმტკიცონ დაუჯერებელი რამ, რაც გასაგები არ გახდება და ვერც დაიხსომებენ, ამიტომაც იდგამენ წელებზე ფეხებს გარემოცვის აღიარების მისაღწევად.

* * *

სიყმაწვილე თუ სიჭაბუკე უმეტესად უთაკილო, ამავე დროს გულფიცხი და თავდაჯერებულია, თანაც კიდევ დიდსულოვანია და მომთხოვნი.

* * *

რაკი შინაუსიამოვნებანი ყოვლის უფრო მაღალ სფეროებშიც ხდება, თავს იმშვიდებ და უფრო გულდაჯერებული ხდები.

* * *

თუ მავანი თავისი იდეებისა და ფაქტების სიმართლეში იმდენად დარწმუნებულია, რომ დეტალებს ყურადღებას არ აქცევს, ნამდვილად ძალიან პატიოსანი ადამიანია.

* * *

ვშიშობ, ადამიანის ბუნებისგან, რომლის დაკვირვებაც ესოდენ დიდხანს მიწევდა, კარგს არცრას არ უნდა მოველოდე.

* * *

ადამიანის ბუნება ყველგან ერთნაირია. ვფიქრობ, დაკრძალვა და დაკრძალვის რიტუალების ადათ-წესები თუ ჩვევა სისხლში აქვთ გამჯდარი. მართლაც, რა უნდა ეკეთებინა არქეოლოგიას, რომ არა ადამიანის ეს თვისება?

* * *

ადამიანმა თვითონ უნდა გაიწალდოს ცხოვრების გზა.

* * *

ადამიანი, რომელიც ვერა და ვერ მოიწიფა, ყოვლის უფრო საშიში ვინმეა — თავისი მოკლე ჭკუით იმას ყველაფრის უფლება აქვს.

* * *

ახალგაზრდები პირველი შემთხვევისთანავე ზურგს აქცევენ სოფელს, სამაგიეროდ, ჩვენთან შინაბერებისა და ბერბიჭა გადამდგარ ოფიცერთა სიუხვეა. ჩვენი გატაცებისა და თავშექცევის დახასიათება ერთი სიტყვით შეიძლება — ჭორჭურები.

* * *

არაფერია იმაზე უფრო დამღლელი და დამქანცველი, ვიდრე ისეთ ადამიანთან ურთიერთობა, რომელიც მუდამ მართალია.

* * *

ადამიანის შეცვლა ქვეყანაზე არცვის არ ძალუძს.

* * *

ბევრს არცთუ გონებაგამჭრიახი და თვალებდაცეცებული იმის დამადასტურებლად მიაჩნია, რომ ის სინდისმწიკვლიანია. თუმცა ყოვლის უფრო ხელიდან წასული არამზადები ჩვეულებრივ მშვიდად, გულარხეინად გვიცქერიან სახეში.

* * *

მოვლენები მიდიან ადამიანებთან და არა ადამიანები მოვლენებთან. რატომ არის ზოგიერთის ცხოვრება მიმზიდველად დამაგულისყურებელი, სხვათა და სხვათა კი მოსაწყენი? გარემოცვის გამო? არა და არა. მავანი იქნებ ადგეს, ქვეყნიერების ბოლოში გავიდეს და არცრა შეემთხვეს. მავანი კი ლონდონის ერთ-ერთ რაიონში ბელპემში ცხოვრობს და ყოველდღე სითის სტუმრობს, მაგრამ წარამარა აუცილებლად რამე რომ არ შეემთხვეს, დღე არ არის. ზოგიერთიც მარცხს რასმე სულაც არ ერიდება, მაშინაც კი, თუ ნავით ხელოვნურ ტბაში მიცურავს და ფათერაკისგან დაზღვეული არ არის. ამ ერკიულ პუაროსნაირ ადამიანსაც არ ეჭირვება დანაშაულის ძებნა — ის თავისით მიდის იმასთან.

* * *

ხანისად შეუძლებელია გულისტკივილის არიდება იმიტომ, რომ ადამიანი, რომელსაც კარგა ხანგრძლივად ვაკვირდებოდით, სულაც არ გამოდგა თვალოვნობის, ყურადღების ღირსი.

* * *

ის კაცი სავსებით გაუნათლებელი, გულუბრყვილოა და ყველაფერი მართალი ჰგონია, რაც თვით იმის საკუთარ გაზეთებში იბეჭდება.

* * *

ექვსი-შვიდი წლის ასაკში ხასიათი ბევრად უფრო მკაფიოდ მჟღავნდება, ვიდრე მოზრდილ ასაკში. იმიტომ, რომ მცირეწლოვნებში თვალთმაქცობა თითქმის არ ვიცით, რა არის, ოცი წლისანი კი უკვე ნიღაბს ვიფარებთ, თავს სხვა ვინმედ ვასაღებთ იმის გამო, რომ იმჟამინდელ მოდას არ ჩამოვრჩეთ. თუ მოდაში ინტელექტუალიზმია, ჩვენც ინტელექტუალები ვხდებით. თუ გოგოებში ქარაფშუტობა და ფუქსავატობაა პოპულარული, ჩვენც ქარაფშუტები და ფუქსავატები ვხდებით.

* * *

ბედნიერი ადამიანი ჩვეულებრივ უიღბლოა, რადგან იმდენად კმაყოფილია, რომ რისამე მისაღწევად ჩემსავით თითსაც არ ანძრევს. თუმცა, ისევ ჩემსავით არ დაეუარება გემრიელ ლუკმას.

„ვისაც ნაღდად არცროდის არ ჰყვარებია, იმას არცროდის ნაღდად არ უცხოვრია“

– ასე ამბობდა აგათა ქრისტი

ქართულად გადმოაენა გურამ გოგიაშვილმა

* * *

რას წარმოიდგენენ ადამიანები მაშინ, როცა ამბობენ, „რა ახალგაზრდააო“, ჩანს, მავან უმანკო არსებას გულისხმობენ, განსაკუთრებულ თანაგრძნობას რომ იწვევს, ანდა მავან უმწეო არსებას. მაგრამ სიახალგაზრდავე სულ სხვაგვარად უნდა გავიგოთ. სიახალგაზრდავე სასტიკი და უხეშია, არც სიმედგრე აკლია და არც სიძლიერე. და კიდევ ერთი რამ — სიახალგაზრდავე ძალზე მიზეზიანია, მალალი.

ვისიც ნამდვილად გშურთ, ის ადამიანი იმით კი არ განირჩევა თქვენგან, რომ ამა თუ იმ საქმეს თქვენზე უკეთ ახელკეთილებს, არა, ის ადამიანი, ვისიც თქვენ გშურთ, თავისთავად კარგი ვინმეა.

* * *

ფრიად საგულისყურო რამეა მემკვიდრეობითობა. ის საგანგებოდ სძლვნის შთამომავლობას წინაპართა ცუდ თვისებებს, რათა ჩვენი მშობლები დიდი სიამოვნებით გვეუბნებოდნენ „პაპაშენი, ალბათ, კუბოში გადაბრუნდებოდა შენი საქციელის შემხედვარეო“.

* * *

ვფიქრობ, არცვის არ ავნებს, თუ ხანდახან მაინც მოიშველიებს ტვინის უჯრედებს.

* * *

ამჟამინდელ ახალგაზრდობას მთელი დრო ეხარჯება ლაპარაკზე, სამუშაოს შოვნაზე, მშრომელი ხალხის კეთილდღეობაზე და მსოფლიოში მშვიდობაზე. ცუდს ვერ იტყვი, ღირსეული ამბავია, მაგრამ გეკითხებით: განა მხოლოდ ლაპარაკია საქმე?

* * *

ადამიანი ყოველთვის ის ხდება, რაც შუბლზე აწერია, რაც აუცილებლად უნდა გახდეს. შეუძლია, რომ იფანტაზიოროს, იოცნობოდოს, ვთქვათ, ამისდა მსგავსად: აი, ეს და ეს რომ მომხდარიყო, ანდა ხელი რომ არ შემშლოდაო, ან: იმ კაცს რომ გავყოლოდი, ჩემი ცხოვრება სულ სხვანაირად აეწყობოდაო. მაგრამ ასეა თუ ისე, ყოველთვის იმ გზაზე აღმოჩნდება, რომელიც წინასწარდასახულია, რისთვისაც არის ამ ქვეყნად მოვლენილი, რა ცხოვრებასაც უნდა მოსწრეოდა. თავისი დანიშნულების განხორციელება სრულადაც შეუძლია ან დაუდევრად, უგულოდ მოეკიდოს ამ დანიშნულებას, მაგრამ ეს თავის ბედ-იღბლად და წინასწარდასახულ გზას მიყოლილს თან არსებობის ჰარმონია და სულიერი სიმშვიდე ახლავს.

* * *

ადამიანმა მტკიცედ უნდა გაუძლოს ყოველგვარ განსაცდელს. თუ ამგვარი ვაჟკაცობა გვაკლია, აზრი არა აქვს ცხოვრებას. მერწმუნეთ, ყოველგვარი უბედურება ყოვლის უფრო იმ ადამიანთაგან მოდის, განსაცდელთაგან რომ გვიფარავენ.

* * *

თავს დატეხილმა მწუხარებამ ხელი არ უნდა აგვაღებინოს ჩვენი ცხოვრების მთავარ საქმეზე.

* * *

გიფიქრიათ იმაზე, თუ რატომ არის ზოგიერთის ცხოვრება გულისწამტანად საგულისყურო, ხოლო სხვათა და სხვათა გაუსაძლისად მოსაწყენი? იქ მთავარია ხასიათი. მტკიცე ხასიათს გაბედულებაც ახლავს. ესეგვარ ადამიანს ცხრა მთას იქით წასვლა ძალუძს და არცრა ცუდი არ შეემთხვევა.

(გაგრძელება იქნება)

გაგრძელება. დასაწყისი იხ. №244-253

◎ ხალხის მეხსიერება

მართალს ვიტყვი

21 დეკემბერს სტალინს (იოსებ ჯუღაშვილს) დაბადებიდან 140 წელი შეუსრულდა...

ბევრს ვფიქრობ სტალინზე...

თვალწინ მიდგას მხატვრული ტილო: „ივერიის“ რედაქციაში ილია ჭავჭავაძის წინ დგას 10-11 წლის ყმაწვილი სოსო (სოსელო) ჯუღაშვილი და საკუთარ ლექსს უკითხავს დიდ პოეტს: „ვარდს გაეფურჩქნა კოკორი, გადახვეოდა იასა... ილხინე ივერთ მხარეო, და შენც, ქართველო, სწავლითა სამშობლო გაახარეო“...

ჩემი გონების თვალი ახლა ისტორიის თითქმის 60-წლიან ბარიერს გადმოლახავს და ისევ თვალწინ მიცოცხლდება ისტორიული კადრი: მოსკოვი, წითელი მოედანი, 1945 წლის 24 ივნისი, გამარჯვების პარადი. მთელი მოედანი ვიღაცას გასუსული ელოდება; მავზოლეუმის წინ ჩამოდგება მანქანა. იქიდან დინჯად ჩამოდის გამარჯვების ტრიუმფატორი: გენერალისიმუსის სამხედრო ფორმაში გამოწყობილი პიროვნება, ხელის აწევით ესალმება რამდენიმე სამხედროს და დინჯად ადის მავზოლეუმის კიბეებზე. ავიდა, იგრიალა ტაშმა; ღიმილით ხელის აწევით ესალმება ყველას...

ვინ იყო ეს პიროვნება, რომელიც მსოფლიოს აზანზარებდა?! — ეს გახლდათ ჩვენი სოსო, სოსელო, გორელი იოსებ ჯუღაშვილი, იგივე სტალინი.

კაცობრიობის ისტორიაში ყველაზე დიდ იმპერიას მართავდა 30 წლის განმავლობაში, ყველაზე დიდი ომი მოიგო კაცობრიობის ისტორიაში... როგორც ჩერჩილმა განაცხადა ლორდთა პალატაში: „ჩაიბარა კავის რუსეთი და ჩააბარა ატომის რუსეთი“.

მაინც რამ შექმნა ასეთი დიდი და დიადი? — არა მხოლოდ ისტორიულმა პერიპეტიებმა, პირველ ყოვლისა, შინაგანმა რწმენამ და მიზანდასახულობამ!

ბავშვობიდანვე ეჯავრებოდა მჩაგვრელები, მდიდრები, ვერ იტანდა უსამართლობას. ადრეულ ახალგაზრდობაშივე ჩაება რევოლუციურ მოძრაობაში, დაეწაფა თვითგანათლებას, გამოიმუშავა მრავალი პიროვნული საუკეთესო თვისება: მიზანსწრაფულობა, თავგანწირულობა, უშიშარობა.

1917 წლის გაზაფხულიდან — ბურჟუაზიული რევოლუციიდან, ოქტომბრამდე — თავის დაარსებულ სოციალისტურ რევოლუციამდე რუსეთის მთავარ გაზეთ „პრავდაში“ სტალინმა 40-მდე წერილი გამოაქვეყნა ეროვნულ და სოციალურ საკითხებზე. ამ წერილებით ხელმძღვანელობდნენ ლენინიც, სხვებიც და ამიტომ გაიმარჯვა სოციალისტურმა რევოლუციამ! მაგრამ მთავარი რევოლუციის გამარჯვება როდი იყო, მთავარი იყო სოციალისტური სახელმწიფოს აშენება. ლენინის სიკვდილის შემდეგ მაშინდელ რუსეთის იმპერიაში ყველაზე ჭკვიანი და ყველაზე მამაცი მოექცა სახელმწიფოს სათავეში და უზარმაზარი სახელმწიფოს მართვა წარმატებით შეძლო. მართალია, იყო შეცდომებიც, იყო სისხლიანი წლებიც, მაგრამ ნუ დაგვავიწყდება, რომ სტალინს (ანუ საბჭოთა კავშირს) დაპირისპირებული ჰყავდა მთელი მსოფლიოს ბურჟუაზია, მდიდართა ფენა, აგრეთვე ქვეყნის შიგნით — „ბურჟუაზიის ნარჩენები“ (კულაკები და ა.შ.). თანაც სტალინის კრიტიკოსებს შევახსენებ: ვინ დაიწყო ტერორი — წითლებმა თუ თეთრებმა? — თეთრებმა! — მათ ტყვია დაახალეს ლენინს! ამის შემდეგ დაიწყო წითელი ტერორი. არ უნდა დაწყებულიყო? სასწორზე იდო პრინციპი: „ვინ-ვის?“ ბოლშევიკებს რომ არ გაემარჯვათ, ტროცკისტები გასრესდნენ. ეს სინამდვილე იყო. თანაც ადამიანთა შორის თავი იჩინა უნდობლობამ, ცილისწამებამ, შურმა, ცრუ დასმენებმა. ათეულათასობით უბრალო ადამიანი სწორედ ამის გამო განადგურდა...

თავის დროზე მაო ძედუნმა, ჩემი აზრით, სწორად ბრძანა: სტალინის ღვაწლი უნდა შევაფასოთ ასე: 70% — კარგი, 30% — ცუდი. ამასაც ამბობდა: ხრუშჩოვის ვოლუნტარიზმმა და სტალინის კრიტიკამ მსოფლიო კაპიტალისტების წისქვილზე მიუშვა წყალიო! ისე აგიხდეთ ყველაფერი: უზარმაზარი ქვეყნის უთავო და მექრთამე ხელმძღვანელებმა დაანგრიეს სოციალიზმის ბასტიონი — საბჭოთა კავშირი. ჩინეთმა კი სოციალისტური სისტემით გააგრძელა ცხოვრება და მსოფლიოს ერთ-ერთი უძლიერესი და უმდიდრესი სახელმწიფო გახდა.

ერთ ნაწყვეტს მოვიყვან ბატონი გრიგოლ ონიანის წერილიდან „სტალინი — მსოფლიო პოლიტიკისა და დიპლომატიის კორიფე“: **„დაქირავებულმა ანტისტალინისტმა ედუარდ რაზინსკიმ, რომელმაც სქელტანიანი წიგნი მიუძღვნა ანტისტალინურ სისაძაგლეებსა და სტალინის ლანძღვის სალექციო ციკლიც შექმნა ცენტრალური ტელევიზიის პირველ არხზე, მას შემდეგ, რაც სტალინის პირად არქივს ძირფესვიანად გაეცნო, ბოდიში მოუხადა მკითხველსა და მსმენელს... ყოფილი ანტისტალინისტი სტალინისტად გადაიქცა“. (გაზ. „საქართველო და მსოფლიო“ 4-10 დეკემბერი).**

რომ იტყვიან, კომენტარი ზედმეტია!

დღეს სტალინს მთელ მსოფლიოში ჩირქს სცხებენ, ჰიტლერს ადარებენ, ბოლშევიზმს ფაშიზმთან აიგივებენ. ვინ აკეთებს ამას? — მსოფლიოს მმართველი თაღლითი ოლიგარქ-ბიზნესმენები, მდიდართა კლანი, რომლებიც სხვის ჯიბეში (ანუ ხალხის ჯიბეში) ნებაყოფლობით ხელის ჩაყოფით არიან გამდიდრებულები!. ასეთი ხალხი (უშრომელი შემოსავლით გამდიდრებულები) ეჯავრებოდა სტალინს და ახლა ისინი სამაგიეროს უხდიან! ამ კლანმა მოიტანა დღეს (ფულის წყალობით) „ცისფერთა“ იდეოლოგია, ერთნაირსქესიანთა ქორწინებები და სხვა გახრწნილობანი.

სრული დემოკრატიით (როგორც „დასავლეთელები“ მოითხოვენ) სახელმწიფო ქაოსში ვარდება. ვაცლავ ჰაველი (ჩეხეთში) და ლეხ ვალენსა (პოლონეთში) ანდერზით მოვიდნენ ხელისუფლებაში და კომუნისტური დიქტატურა დაამხეს, მაგრამ დროის გასვლის შემდეგ ასე თქვეს: მცირეოდენი დიქტატურა აუცილებელიაო!

მაგრამ, როგორც სტალინი თვითონ წინასწარმეტყველებდა, მის სამარეზე მიყრილ ნაგავს ისტორიის ქარი გაფანტავს და სიმართლე და სამართლიანობა აღდგება და იზეიმებსო!

...მე კი ის მახარებს, რომ გორისკენ წამოსული მსოფლიოს ტურისტთა ნაკადი უფრო და უფრო მრავალრიცხოვანი ხდება!

უშანგი ჯანგირაშვილი,
ქ. ბორჯომი

პრემიერი ბოდიშს იხდის

ავსტრალიის პრემიერ-მინისტრმა სკოტ მორისონმა ქვეყანაში მძვინვარე ხანძრების დროს აშშ-ში დასვენების გამო ბოდიში მოიხადა.

პრემიერის განცხადებთ, ის ჰავაის კუნძულებიდან დაგეგმილზე ადრე დაბრუნდება. მორისონის ამ განცხადებას ავსტრალიაში საპროტესტო აქციები და მძლავრი კრიტიკა უძღოდა წინ.

ქვეყანაში ტყის ხანძრების გამო საგანგებო მდგომარეობაა გამოცხადებული. ოფიციალური მონაცემებით, მეხანძრეები ამ ეტაპზე დაახლოებით 100 ხანძრის ჩაქრობას ცდილობენ. ხანძრების შედეგად დაიწვა მილიონობით ჰექტარი მიწა და 700-ზე მეტი სახლი განადგურდა, სტიქიას 8 ადამიანი ემსხვერპლა. 18 დეკემბერს ქვეყნის ტერიტორიაზე საშუალო ტემპერატურამ 41.9 გრადუსს მიაღწია, რაც ქვეყნის ისტორიაში ყველაზე ცხელი დღე აღმოჩნდა.

მასშტაბური ანტიმაფიური ოპერაცია

იტალიაში მაფიის წინააღმდეგ ჩატარებული მასშტაბური ოპერაციის დროს 334 ადამიანი დაიკავეს. ადგილობრივი მედიის ინფორმაციით, მაფიოზური ორგანიზაცია „ნდრანგეტას“ წინააღმდეგ მასშტაბური რეიდები ქვეყნის სამხრეთ ნაწილში, ერთდროულად რამდენიმე პროვინციაში ჩატარდა.

როგორც ცნობილია, ოპერაციის წყალობით სამართალდამცველებმა ვიბო-ვალენტიის პროვინციაში მოქმედი მაფიოზური ორგანიზაციის დაშლა მოახერხეს.

იტალიასთან ერთად, დაკავებები განხორციელდა გერმანიაში, ბულგარეთსა და შვეიცარიაშიც. მასშტაბურ ოპერაციაში მონაწილეობა საერთო ჯამში სამი ათასმა სამართალდამცველმა მიიღო. როგორც იტალიური მედია იუწყება, დაკავებულებს შორის არიან რეგიონებში მოღვაწე პოლიტიკოსები, მეწარმეები და ადვოკატები.

სროლა მოსკოვის ცენტრში

მოსკოვში, „ეფესბეს“ შენობასთან სროლის შედეგად უსაფრთხოების სამსახურის 1 თანამშრომელი და თავდამსხმელი დაიღუპნენ. შემთხვევის შედეგად 5 ადამიანი დაიჭრა. ისინი საავადმყოფოში გადაიყვანეს.

სროლა მოსკოვის ცენტრში ადგილობრივი დროით 17:40 საათზე მოხდა. შეიარაღებული თავდამსხმელი „ეფესბეს“ შენობაში შეჭრას ცდილობდა, თუმცა დაცვამ მას წინააღმდეგობა გაუწია. თავდამსხმელმა ერთი ადამიანი მოკლა და გაქცევა სცადა. ის ახლომდებარე შენობაში გამაგრდა, თუმცა სამართალდამცველებმა მისი ლიკვიდაცია მოახერხეს. მისი ვინაობა ან მოტივები ამ დრომდე უცნობია.

მანამდე ქვეყნის უსაფრთხოების სამსახური აცხადებდა, რომ თავდასხმაში 3 ადამიანი მონაწილეობდა

მილიონობით მომხმარებლის მონაცემები გასაჯაროვდა

ფეისბუქის 267 მილიონი მომხმარებლის მონაცემები გასაჯაროვდა. პირადი მონაცემების გაჟონვა ძირითადად აშშ-ში მცხოვრებ ფეისბუქ-მომხმარებლებს შეეხო. კერძოდ, გამოქვეყნდა მათი სახელები, ფეისბუქის **ID** და ტელეფონის ნომრები. კიბერექსპერტების ვარაუდით, ეს მონაცემები სპამის დასაგზავნად და ე.წ. ფიშინგისთვის გამოიყენებოდა. სავარაუდოდ, პირადი მონაცემები ვიეტნამელმა ჰაკერებმა მოიპარეს.

მონაცემთა ბაზა ინტერნეტში 4 დეკემბერს გამოქვეყნდა. **Comparitech**-ის ექსპერტების მიმართვის შემდეგ 15 დღეში ბაზაზე წვდომა დაიხურა, თუმცა ამ დროის განმავლობაში ჰაკერებს მისი შენახვა და გავრცელება შეეძლოთ.

როგორ შეძლეს კიბერთავდამსხმელებმა ფეისბუქის მომხმარებელთა მონაცემების მოპარვა, უცნობია. სოციალურ ქსელში აცხადებენ, რომ მომხდარზე დეტალებს სწავლობენ.

ᲣᲙᲐᲜᲐᲡᲙᲜᲔᲚᲛᲐ ᲛᲝᲰᲘᲙᲐᲜᲔᲑᲛᲐ ᲘᲐᲕᲐᲡ ᲨᲔᲐᲤᲐᲠᲔᲡ ᲗᲐᲕᲘ

Homo Sapiens-ის ნათესავი Homo Erectus-ი იმაზე გვიან გადაშენდა, ვიდრე მეცნიერებს აქამდე ეგონათ.

სპეციალისტებმა დაადგინეს, რომ ინდონეზიაში, კუნძულ იავაზე ამ სახეობის წარმომადგენლები 100 000 წლის წინათ გადაშენდნენ, მაშინ, როცა დანარჩენ მსოფლიოში ეს გაცილებით ადრე მოხდა. შესაბამისად, დროის გარკვეული პერიოდის განმავლობაში Homo Erectus-ები Homo Sapiens-ებთან ერთდროულად არსებობდნენ.

ძვლების ფრაგმენტები, რომლებთანაც მეცნიერები მუშაობდნენ, არქეოლოგებმა ჯერ კიდევ 1930-იან წლებში, მდინარე სოლოსთან აღმოაჩინეს, თუმცა რეგიონის რთული გეოლოგიის გამო მათი დათარიღება ამ დრომდე ვერ მოხერხდა. Homo Erectus-ი ან „წელში გამართული ადამიანი“ Homo Sapiens-ის პირველი წინაპარი იყო, რომელმაც აფრიკა დატოვა. აფრიკაში ადამიანის ეს სახეობა 500 000 წლის წინათ, ჩინეთში 400 000 წლის წინათ გადაშენდა. მეცნიერები ამის მიზეზად სხვა სახეობებთან კონკურენციას ასახელებენ. თუმცა იზოლირებულ იავაზე Homo Erectus-ის გარდა არავინ ცხოვრობდა, ამიტომაც აქ მათ ასე დიდხანს გაძლევს. სპეციალისტების აზრით, კუნძულზე პოპულაციის გადაშენება კლიმატის ცვლილებამ გამოიწვია.

112 ᲞᲚᲐᲜᲔᲢᲐᲡ ᲓᲐ ᲕᲐᲠᲡᲙᲕᲚᲐᲕᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲔᲑᲘ ᲛᲘᲐᲜᲘᲭᲔᲡ

ᲡᲐᲔᲠᲗᲐᲨᲝᲠᲘᲡᲝ ასტრონომიულმა კავშირმა გამოაცხადა კონკურსის შედეგები, რომლის ფარგლებში 112 ვარსკვლავს და მათ პლანეტებს ახალი სახელები შეურჩიეს. საუბარია ეგზოპლანეტებზე და მათ ვარსკვლავებზე, რომლებსაც აქამდე მხოლოდ სამეცნიერო დასახელებები ჰქონდათ. კონკურსში მონაწილე თითო სახელმწიფოს სახელი ვარსკვლავისთვის და მის გარშემო მბრუნავი პლანეტისთვის უნდა შეერჩია. საზოგადოებისგან შეთავაზებების მიღება ივნისში დაიწყო. ეს პროცესი 4 თვეს გაგრძელდა. შემდეგ მონაწილეებმა ფინალისტები დაასახელეს და ხმის მიცემის პროცედურა დაიწყო. კონკურსი სულ 6 თვეს გრძელდებოდა.

უკრაინაში ვარსკვლავს (HAT-P-15) ბერეგინია დაარქვეს. ასე სლავები წყლის სულს ეძახდნენ, თუმცა მოგვიანებით ბერეგინია მიწის მცველი გახდა. ამ ვარსკვლავის პლანეტას კი ტრიზუბი დაარქვეს – ეს უკრაინის ერთ-ერთი ოფიციალური სიმბოლოა. აზერბაიჯანში ვარსკვლავს მეჰსეთი დაარქვეს, პოეტ მეჰსეთი გიანჯევის პატივსაცემად. მის პლანეტას კი გინდჟა – ეს ქვეყნის სიდიდით მეორე ქალაქია. ბრიტანელებმა თავის წყვილს სახელები გლოასი და კრუინლახი შეურჩიეს. ეს გაელური სიტყვებია და „კაშკაშას“ და „ბრუნვას“ ნიშნავს. საქართველო კონკურსში არ მონაწილეობდა.

ᲘᲚᲑᲚᲘᲐᲜᲘ ᲝᲰᲐᲘᲝᲔᲚᲘ

ᲐᲨᲨ-ᲨᲘ, ოჰაიოს შტატში იღვბლიანმა ადამიანმა ლატარეა „Mega Millions“-ის ჯეკპოტი, 372 მილიონი დოლარი მოიგო. გამარჯვებულს თანხის მიღების ორი ვარიანტი აქვს. მას პრიზის მომენტალურად განაღდება შეუძლია, თუმცა ამ შემთხვევაში მხოლოდ 251.5 მილიონი დოლარი ერგება. მეორე ვარიანტი კი მოგების 29 წელიწადზე გადანაწილებაა, რა დროსაც ის სრულ თანხას მიიღებს. გამარჯვებულის ვინაობა ჯერჯერობით უცნობია.

„Mega Millions“-ის ისტორიაში ყველაზე დიდი ჯეკპოტი – 1,537 მილიარდი დოლარი 2018 წლის 23 ოქტომბერს გათამაშდა.

⊙ ᲗᲘᲗᲥᲛᲘᲡ ᲜᲐᲢᲣᲠᲘᲓᲐᲜ

ᲚᲐᲠᲘ ᲒᲐᲛᲧᲐᲠᲓᲔᲑᲐ!

ᲡᲐᲐᲮᲐᲚᲬᲚᲝ განწყობა, როგორც ეტყობა, ლარსაც გადაედო და ნელ-ნელა მყარდება.

საქმის არსში გასარკვევად, ვამჯობინე, ეროვნულ ბანკს დავკავშირებოდი.

– გისმენთ, ბატონო, რამ შეგაწუხათ? – გაისმა ყურმილში მამაკაცის ხმა.

– დოლართან დაკავშირებით ვრეკავ, ჩემო ბატონო.

– კერძოდ, რა გაინტერესებთ?

– მინდა, გავიგო, ლართან მიმართებაში თავს როგორ გრძნობს?

– ცუდად, ბატონო, ძალიან ცუდად, ეს-ეს არის, ლარმა ნოკაუტში ჩააგდო.

– მერე, დოლარი უკვე დავარდა?

– ჯერ არა, მაგრამ სადაცაა გაიშხლართება!

ყოჩაღ, ლარო! – აღმომხდა აღფრთოვანებულს. – ასეთს რას აჭმევთ?

– ვაჭმევთ კი არა, ვავარჯიშებთ, ბატონო, ყოველდღიურად ვავარჯიშებთ.

– ეგ ბანკში, მაგრამ ბაზარში რატომ არ ავარჯიშებთ?

– ბაზარში სხვა რანგია, ჩემო კარგო, ის ჩვენს ნომენკლატურაში არა ზის.

– არც მთავრობისაში?

– ვერ გეტყვით, თავად მთავრობაში დაურეკეთ.

ეკონომიკის მინისტრს ეცოდინება, – გავიფიქრე და ნომერი ავკრიფე.

– მინისტრი არ გახლავთ, ბატონო, – მიპასუხა მდივანმა ქალმა.

– თუ იცით, ბაზრები მაგის კომპეტენციაშია?

– არა, მინისტრი ბაზარში საერთოდ არ დადის.

– რატომ, ქალბატონო?

– აბა, ბაზარში რა უნდა, ეგ ხომ არაფერს ყიდულობს, მხოლოდ საპრივატიზაციო ობიექტებს ყიდის.

რაღას ვიზამდი, იძულებული გავხდი, მინისტრის ნაცვლად, ბაზარში მე წავსულიყავი.

– რა ღირს ვაშლი? – ვეკითხები სიცივისგან ლოყებაწითლებულ ქალბატონს.

– ბანანი – 3 ლარი, სტარტი – 4 ლარი.

– ბანანი არ მინდა, ვაშლზე გეკითხებით.

–ჰო, ეგ ყვითელი ვაშლი ბანანია, წითელი – სტარტი, – მიხსნის გამყიდველი.

– შარშან ასეთ ვაშლს 2 ლარად ვყიდულობდი, ასე რატომ გაძვირდა?

– ვაშლი კი არ გაძვირდა, ლარი გამყარდა, ბატონო.

– როგორ მიხვდით?

– რა დიდი მიხვედრა უნდა, ლარი რომ არ გამყარებულიყო, ვაშლი ხომ არ გაძვირდებოდა?

პასუხი თითქოს ლოგიკური ჩანდა, მაგრამ ეჭვი რომ გამეფანტა, გვერდით მოვაჭრე მამაკაცს ნიორი დავაფასებინე.

– კილოგრამს 5 ლარად აგიწონით, ბატონო.

– ერთ თავს რამდენი უნდა?

– 50 თეთრი.

– ქართულ მიწაზე მაინც არის მოწეული? – დავინტერესდი.

– რომ გითხრათ, კი-მეთქი, დამიჯერებთ? უკვე რამდენი წელია, ნიორი ირანიდან შემოდის.

– მაგიტომ გაძვირდა?

– არა ბატონო, ლარი გამყარდა და იმიტომ.

– ირანშიც, კაცო?!

ეტყობა, კითხვა არ მოეწონა, რადგან პასუხი არ გაუცია. მეც აღარ ჩავაცივდი, ბაზრიდან გამოვედი და საპარიკმახეროში შევუხვიე. ახალგაზრდა გოგო სასწრაფოდ დაფაცურდა და მშვენივრადაც მომემსახურა.

– ინებეთ, ქალიშვილო! – გავუწოდე ხუთლარიანი.

– 7 უნდა, ბატონო.

– რა ამბავია? – გავიკვირვე.

– ლარი გამყარდა, ნუთუ არ გაგიგიათ?

– გავიგე, გავიგე, – ჩავიბურდღუნე და 2 ლარი დავუმატე.

ამასობაში ცხვირში წამიჭირა და ცრიტინი დამაწყებინა. შევშინდი, გრიპი არ ამეკიდოს-მეთქი და იქვე ახლოს აფთიაქში შევედი.

– მომეცით ტაიქოლდი, ქალბატონო, – მივმართე თეთრხალათიანს.

– ინებეთ, 10 აბი 8 ლარად.

– როგორც მახსოვს, შარშან ზამთარს ამაში 6 ლარს ვიხდიდი. ეტყობა, ესეც გაძვირდა!

– შარშან ამ დროს, ჩემო ბატონო, ლარი უფასურდებოდა, ახლა კი მყარდება. ამან, რა თქმა უნდა, მედიკამენტების ფასიც გაამყარა.

კარგია, კარგი! – გავიფიქრე, – ლარის გამყარებასთან ერთად პროდუქტებსა და მედიკამენტებზეც თუ გამყარდა ფასები, დამდეგ წელს მაინც ნაღდად გამოვძვრებით სიღარიბიდან.

ᲝᲗᲘᲐ ᲩᲐᲠᲗᲝᲚᲐᲜᲘ

...ᲓᲐ ᲤᲠᲔᲜᲐ ᲣᲠᲩᲮᲣᲚᲘᲡ ᲖᲣᲠᲒᲘᲗ

ᲕᲐᲨᲘᲜᲒᲢᲝᲜᲘᲡ უნივერსიტეტის რუსეთელი მეცნიერის ᲘᲕᲐᲜᲔ ᲞᲣᲞᲘᲠᲔᲕᲘᲡ აღმოჩენაზე ახლა მთელი მსოფლიო ლაპარაკობს. 2019 წლის ოქტომბერში „გუგლმა“ სწორედ მის მიერ შექმნილი ტელეფონი წარადგინა, რომელიც პატრონის მოახლოებას ხედავს და მისი ჟესტების გაგების უნარი შესწევს.



მაგალითად, მობილურ ტელეფონ Pixel4-ს პატრონის უამრავი განკარგულების შესრულება შეუძლია ეკრანზე ხელის დაუდებლად:. სმარტფონს მისი ხელის აქნევაც კი „ესმის“.

მუშაობის 25 წლის მანძილზე, 1994 წელს საბჭოთა კავშირიდან ჯერ იაპონიაში, იქიდან კი ამერიკის შეერთებულ შტატებში წასულმა მეცნიერებმა უაღრესად შთამბეჭდავი გზა განვლო სტაჟიორობიდან კომპანია „გუგლის“ მთავარ გამომგონებლამდე. რამდენიმე თვის წინათ კი მას დიზაინის სფეროში ამერიკის ერთ-ერთი ყველაზე პრესტიჟული პრემია Nationel Disign Award მიენიჭა.

მისი თქმით, მომავლის ტელეფონი გაცილებით მეტი იქნება, ვიდრე, დასარეკი, შეტყობინების მიმღები, ანდა ინტერნეტში შესასვლელი მოწყობილობა. **იდეალში, კომპიუტერი უხილავი უნდა იყოს. მას უნდა ესმოდეს, თუ რა გინდათ კერძოდ და ის ინფორმაცია მოგაწოდოთ, რომელიც იმწამსვე გესაჭიროებათ. თანაც ამას თავისით, ყოველგვარი განკარგულების გაცემის გარეშე უნდა აკეთებდეს.**

გამომგონებელი აცხადებს, რომ „გუგლი“ ამჟამად ამუშავებს ტელეფონის იდეას, რომელიც ღილაკზე თითის დაჭერას არ საჭიროებს: **როცა პატრონი ტელეფონის გვერდითაა, ის თავისით ირთვება, ხოლო როგორც ხელს გაწევს – ინფორმაციას გასცემს. ტელეფონს შეეძლება ინფორმაციის კონტექსტის გაგება და მის შესაბამისად საკუთარი მოქცევის შეცვლა(!!).**

უაღრესად საგულისხმოა ივანე პუპირევის განხორციელებული იდეების უბრალო ჩამონათვალიც კი: **სმარტფონ Pixel4**-ის შესახებ უკვე ვთქვით, რომ მას ჟესტების გაგება შეუძლია; ის პატრონის სახეს ნებისმიერი კუთხით დანახულს ცნობს; მეტყველება ტექსტში გადაჰყავს რეალური დროის რეჟიმში;

ინტერაქტიური ჯინსის ქურთუკი: მასაც ჟესტების გაგება და გაჯეტების მართვა შეუძლია; **პირველი ტაჩსკრინი ტელევიზორების პულტებზე:** ის ღილაკებზე დაჭერას არ საჭიროებს; **Disnayland-ის ციფრული მცენარეები:** ხელის შეხებაზე ხმოვანი სიგნალით პასუხობენ; **Surround Haptica ტექნოლოგია:** ის სავარძლებში, ხელთათმანებში და ა.შ. იდგმება და აჩქარების, დამუხრუჭების, აფეთქების და სხვ. შეგრძნებებს სიმულირებს; **Disnayland-ის თამაშის „ავატარის“ურჩხულის** ზურგზე ვირტუალური ფრენის შეგრძნებას ჰქმნის.

ᲝᲗᲐᲠ ᲢᲣᲠᲐᲑᲔᲚᲘᲫᲔ.

◎ კონტაქტები

მართლაც, ისტორიული

შეპირებისამებრ, გვსურს გაცნობოთ სასიხარულო ინფორმაცია:

● ამ დღეებში ხელი მოეწერა საქართველოსა და სამხრეთ აფრიკის რაგბის კავშირებს შორის ურთიერთთანამშრომლობის 11-წლიან ხელშეკრულებას, რომელიც ითვალისწინებს:

● 2020 წლის 1 იანვრიდან საქართველოს რაგბის კავშირის ფრანჩაიზი მონაწილეობას მიიღებს სამხრეთი აფრიკის რაგბის კავშირის მიერ ორგანიზებულ ტურნირში – ქარრის თასი (Currie Cup)

● შედგება მჭიდრო ურთიერთთანამშრომლობითი ურთიერთობა სამხრეთ აფრიკისა და საქართველოს რაგბის აკადემიებს შორის;

● ურთიერთთანამშრომლობა ჩამოყალიბდება სამხრეთ აფრიკისა და საქართველოს ნაკრებებს შორის (ეროვნული, საქართველო XV, შვიდკაცა, ასაკობრივი ნაკრებები: 15 წ, 17 წ, 18 წ, 20 წ), რაც გულისხმობს ერთობლივ წვრთნებსა და თამაშებს;

● სამხრეთ აფრიკის რაგბის კავშირის დახმარებით ქართველ მწვრთნელებს, მსაჯებს, მენეჯერებსა და სხვა სპეციალისტებს ჩაუტარდებათ კვალიფიკაციის ასამაღლებელი თრეინინგები;

● ხელშეკრულების თანახმად, ორივე ქვეყნის რაგბის კავშირები ხელს შეუწყობენ ქართულ და სამხრეთაფრიკულ კლუბებს შორის თანამშრომლობითი ურთიერთობების ჩამოყალიბებას;

ერთობლივი ტურნირები მოეწყობა როგორც სამხრეთ აფრიკაში, ასევე საქართველოში;

ხელშეკრულებას ხელი მოაწერეს სამხრეთ აფრიკის რაგბის კავშირის (SARU) პრეზიდენტმა **მარკ ალექსანდერმა** და საქართველოს რაგბის კავშირის (სრკ) პრეზიდენტმა **გოჩა სვანიძემ**.

გვინდა მივულოცოთ ქართველ მორაგბეებს, სპეციალისტებსა და ქომაგებს ეს დიდი, წინგადადგმული ნაბიჯი, რომელიც ხელს შეუწყობს ქართული რაგბის უფრო სწრაფ განვითარებას.

კობა კობახიძე

◎ თანამშრომლობა

„ევროპაბეთი“ პარტნიორია

საქართველოს ჭადრაკის ფედერაციასა და „ევროპაბეთს“ შორის ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი გაფორმდა! მათი პარტნიორობა 2020 წლიდან განხორციელდება.

შესაბამის დოკუმენტს ხელი საქართველოს ჭადრაკის ფედერაციის პრეზიდენტმა გია გიორგაძემ და „ევროპაბეთის“ მარკეტინგის დირექტორმა ლაშა გოგუამ მოაწერეს.

მემორანდუმის შესაბამისად „ევროპაბეთი“ აქტიურ მონაწილეობას მიიღებს საქართველოს ჭადრაკის ფედერაციის ეგიდით გამართულ ღონისძიებებში. ასევე, დაგეგმილია ერთობლივი პროექტები ჭადრაკის განვითარებისათვის.

გეჟან დოლიძე

◎ სპორტი და მეცნიერება

ორი ბატონის მსახური



მარცხნიდან: გურამ კოსტავა, გივი ცაგარელი, კოტე გოგელია.

საქართველოში ხმლით ბრძოლის ხელოვნებას უხსოვარი დროიდან ფლობდნენ.

რაც შეეხება ფარიკაობის კლასიკურ სტილს, ჩვენთან პირველი სასწავლო ჯგუფი მე-19 საუკუნის 70-იან წლებში ჩამოყალიბებულა, თუმცა, ქართველმა მუშკეტერებმა მნიშვნელოვან წარმატებებს მხოლოდ გასული საუკუნის 50-იანი წლებიდან მიაღწიეს. მაშინ თბილისში რამდენიმე საფარიკაო ცენტრი შეიქმნა. ქართული ფარიკაობის სათავეებთან იდგნენ გურამ კოსტავა და ნუგზარ ასათიანი, იური ოსიპოვი და რევაზ ცირეკიძე, ძმები – გოგი, კოტე და არჩილ გოგელიები, მორის სახვაძე, გივი ანდრიაძე, გურამ ლორთქიფანიძე და სხვები, რომლებმაც საერთაშორისო სარბიელზე არაერთხელ ისახელეს თავი.

მათთან ერთად კვარცხლბეკისკენ დაშნით იკაფავდა გზას დიდი ქართველი დრამატურგისა და მსახიობის – აქვსენტი ცაგარელის შვილიშვილი **გივი ცაგარელი**. 1955 წელს იგი ბათუმში ახალგაზრდებს შორის საქართველოს პრიზიორი გახდა და საკავშირო პირველობაზე გამგზავრების უფლებაც მოიპოვა, მაგრამ იმ წელიწადს უმაღლეს სასწავლებელში აბარებდა გამოცდებს და დედაქალაქში წიგნებთან დარჩენა ამჯობინა.

– მაშინ სირცხვილი იყო, ბიჭები სასპორტო სექციებში თუ არ იქნებოდნენ ჩაბმული, – სიამოვნებით იხსენებს ჭაბუკობის წლებს ბატონი გივი. – თბილისის მე-9 ვაჟთა სკოლაში ვსწავლობდი. მარტო ჩვენს კლასში 8 სპორტის ოსტატი აღიზარდა: მათგან სამი მოფარიკავე, რომელთა შორის იური ოსიპოვი რაპირაში მსოფლიოს ჩემპიონი და მელბურნის ოლიმპიური თამაშების ფინალისტია; კალათბურთელი ილარიონ ხაზარაძე თბილისის „დინამოსთან“ ერთად ევროპის ჩემპიონთა თასის მფლობელი გახდა, ხოლო იგორ ნოვიკოვმა ხუთჭიდში მოიპოვა მსოფლიოს ჩემპიონობა... ჩვენთან ერთად სწავლობდნენ ვალენტინ ჩერნიაკოვი, ბორის კამენსკი, მოჭადრაკე ვლადიმერ სმირნოვი, ველოსიპედისტი შურა კლიმოვი...

საკავშირო პირველობების კვარცხლბეკს გივი ცაგარელმაც გაუსინჯა გემო – 1959 წელს მოსკოვში მოფარიკავეთა საბჭოთა კავშირის გუნდურ ჩემპიონატში რევაზ ცირეკიძესთან, გურამ კოსტავასთან, კოტე გოგელიასა და ნუგზარ ასათიანთან ერთად ბრინჯაოს მედალი დაიმსახურა – გადამწყვეტ პაექრობაში ქართველმა დაშნით მოფარიკავეებმა დაძაბულ ბრძოლაში სომხეთის ნაკრებს აჯობეს.

იმ შეჯიბრების მერე გივი ცაგარელი პროფესიულ სპორტში დიდხანს აღარ დარჩენილა – სწავლამ გადასძალა და უმაღლესი სასწავლებლის დამთავრების შემდეგ სპეციალობით განაგრძო მუშაობა. 1969 წელს საკანდიდატო დისერტაცია დაიცვა და დღეს ქიმიის მეცნიერებათა დოქტორი თსუ-ს რაფიელ აგლაძის სახელობის არაორგანული ქიმიისა და ელექტროქიმიის ინსტიტუტის უფროსი მეცნიერ-თანამშრომელია. ამ უძველესი სამეცნიერო დაწესებულების თეორიული და გამოყენებითი სამეცნიერო მიღწევები ფართოდ არის ცნობილი მსოფლიოს მრავალი ქვეყნის მეცნიერთა და ინჟინერ-ტექნოლოგთა წრეებში. აქ სამეცნიერო კვლევები სხვადასხვა პროგრამითა და ქვეპროგრამით ხორციელდება. ორი წელიწადია, გივი ცაგარელი აქტიურად არის ჩაბმული დენის წყაროებთან დაკავშირებული ენერგიის შენახვისა და გამოყენების ახალი სისტემების შემუშავების პროგრამაში. წლეულს იგი ესპანეთში გამართულ ელექტროქიმიის საერთაშორისო საზოგადოების კონფერენციაში მონაწილეობდა, სადაც მისმა მოხსენებამ საერთო მოწონება დაიმსახურა. როგორც ბატონმა გივიმ გვითხრა, ახალი თაობის მოწყობილობა საშუალედოა ბატარეებსა და კონდენსატორებს შორის (ანუ, ბატარეაზე მეტი სიმძლავრე ექნება კონდენსატორზე უფრო მეტი ენერგიის სიმკვრივით), რომლებსაც ელექტროავტომობილებსა და ფიჭურ ტელეფონებში გამოიყენებენ.

სამეცნიერო საქმიანობით დატვირთული ვეტერანი მოფარიკავე ჭაბუკურ სიყვარულსაც არ ივიწყებს – ყოველთვის პოულობს დროს, თანაკლასელებთან ერთად საფარიკაო დარბაზებში შეიხედოს, შეჯიბრებებს დაესწროს და ახალგაზრდები გაამხნევოს. უხარია, რომ ქართულ ფარიკაობას ღირსეული ცვლა ეზრდება.

ვაჟა დანელია

◎ მემკვიდრე

შესაძლოა, ზიდანი...

საფრანგეთის ნაკრების თავკაცმა დიდიე დეშამმა ჟურნალისტებს განუცხადა, რომ მადრიდის „რეალის“ ახლანდელი დამრიგებელი ზინედინ ზიდანი, შესაძლოა, სამფეროვანთა შემდეგი მწვრთნელი გახდეს.

„ყოველ შემთხვევაში, რაღაც მომენტში ეს აუცილებლად მოხდება. როცა პროფესიონალი ხარ, ასაკობრივი შეზღუდვები არ არსებობს“, – ციტირებს დეშამის სიტყვებს Goal.com.

მან საფრანგეთის ნაკრები 2012 წელს ლორან ბლანისგან ჩაიბარა. დიდიეს ხელმძღვანელობით 2018 წელს სამფეროვნები მსოფლიოს ჩემპიონები გახდნენ, ევრო 2016-ზე კი ფინალში გავიდნენ, სადაც პორტუგალიასთან 0:1 დამარცხდნენ.

გიორგი ფოთაძე

◎ პერსპექტივა

ფერსტაპენი იმედოვნებს

მაძს ფერსტაპენისთვის გასული წელი საკმაოდ წარმატებული გამოდგა. მასზე მეტი ქულები მხოლოდ „მერსედესის“ პილოტებმა დააგროვეს. რაც მთავარია, „რედ ბულს“ სეზონის მეორე ნახევარში სოლიდური პროგრესი ჰქონდა და ის ფიქრობს, რომ ტიტულისთვის საბრძოლველად მზადაა. მთავარია, გუნდმა ახალი წელი კარგად დაიწყოს.

შარშან ბენილუქსელმა სამი გამარჯვება მოიპოვა. მათგან პირველი ავსტრიაში, როცა „მერსედესს“ უკვე რვა მოგება და სოლიდური უპირატესობა ჰქონდა. ამას დაემატა „რედ ბულის“ პილოტის კარიერაში პირველი პოულ პოზიცია. ეს „რედ ბულისა“ და „ჰონდას“ პირველი ერთობლივი სეზონი იყო და ჰოლანდიელ ვარსკვლავს იმედი აქვს, რომ ეს მხოლოდ დასაწყისია.

„ჩემთვის მთავარი მანქანისა და ძრავის საიმედოობაა. გუნდს მთელი რბოლების განმავლობაში პროგრესი ჰქონდა და ძრავაც მუდმივად უმჯობესდებოდა. მომავალი წლისთვის ჩვენ კარგი ბაზისი გვაქვს. ბევრი რამ ვისწავლეთ და საფუძვლიანი იმედი გაგვაჩნია, რომ ახალ სეზონს კარგად დავიწყებთ, – ამბობს ფერსტაპენი, ვინც სამი გამარჯვების გარდა, ორი პოული მოიპოვა, ფორმულა-1-ის კვარცხლბეკზე ცხრაჯერ ავიდა და რბოლის უსწრაფესი წრე სამჯერ დააფიქსირა.

ვიტალი ჯაფარიძე

ბურჯი მეგობრობისა

ხე ნაყოფით იცნობა...

თქვენ კაცობა გვითხარით, თორემ ჩვენს გაუკულმართებულ ცხოვრებაში თანამდებობები და პრივილეგიები ვიღას უკვირს.

სწორედ მოყვასისადმი განსაკუთრებული თანადგომის უნარითა და ქიცისა და ქიცმაცურის ცოდნით გვეძვირფასება დედაქალაქის საკრებულოს 2 მოწვევის დეპუტატი, ჩვენი სამეგობროს კოლორიტული ბურჯი



ვახტანგ (ომარ) აბულაძე,

75

საახლობლომ „ფაიტონად“ რომ მოვნათლეთ.

თერჯოლის რაიონის სოფელ ჩხარის მკვიდრის აუწონავ სიმდიდრეს ძვირფას მეუღლე ინეზა ოქროკვერცხიშვილთან ერთად შექმნილი სამაგალითო ოჯახი წარმოადგენს.

ჩვენმა საამაყო თვისტომმა ერთი გასროლით ორი კურდღელი მაშინ მოკლა, როცა სამშობლოს ტყუპი ვაჟკაცები — კახაბერი და ლაშა უძღვნა, ხოლო მრავალშვილიან მამად ნაბოლარა ქალიშვილმა მაიამ აკურთხა, რომელიც ქმარ-შვილთან ერთად დღეს ამერიკის შეერთებულ შტატებში ცხოვრობს.

მისაბაძია სიძესთან და რძლებთან მამაშვილობაში გადაზრდილი ურთიერთობა, რომელმაც ცერცვაძეებთან, გოგიაშვილებთან და აჩემაშვილებთან დაამოყვრა, მაგრამ უკვე პენსიონერის მთავარ მაცოცხლებელ წყაროს ფუძეძლიერი მონაგარი წარმოადგენს. მარიამი, მიხეილი, ქეთევანი, ლიკუნა, ცოტნე, ანასტასია, ეკატერინე და მია უტკბილესი ბაბუს საფიცარ ხატებად ქცეულან...

დღეს ვახტანგ (ომარ) აბულაძეს 75 წელი შეუსრულდა.

იუბილეს გილოცავთ, ძმაო!

თანაკურსელ მეგობართა სახელით:

ბადრი ბარკალაია, გია ციხისთავი, გურამ ჩიქოვანი, მიშა წიკლაური, ომარ კერესელიძე, ნუნუ შუკაკიძე, ემა ოგანოვი, სვეტა გაბუნია, გივი ხელაშვილი, ცისანა ჩაკვეტაძე, ჟუჟუნა ნაცვლიშვილი, თინა ჯანიაშვილი, დალი ვანციანი, მაცაცო ლეჭავა, იოსებ არაბული, ნათელა კაპანაძე, მიშა კახაძე, ზაირა ოთარაშვილი, ლალი მაისაშვილი; ვაჟა მამაიაშვილის, თამაზ მოშიაშვილისა და რომან კუჭუხიძის ოჯახები.

მეუფე შიო:

აზარტული თამაშების ხელშეწყობა ქვეყნის ერთ-ერთი პრობლემაა



როგორც მეუფემ აღნიშნა, აზარტული თამაშები სულიერი თვალსაზრისით ეს არის აბსოლუტური ბოროტება.

„ეს ანგრევს ადამიანის პიროვნებას, ოჯახებს, ახდენს დეგრადირებას, ადამიანი ემონება ცოდვას, არის ცოდვის ტყვეობაში. უნდა ვიღონოთ ყველაფერი, რომ მოხდეს შეზღუდვა. საპატრიარქო მონაწილეობდა პროექტის შექმნაში, რომელიც რეგულაციებს ითვალისწინებს“, — აღნიშნა პატრიარქის თანამოსაყდრემ.

საპატრიარქოში აზარტულ თამაშებთან დაკავშირებით შეხვედრა გუშინ გაიმართა.

შეხვედრას, რომელიც საპატრიარქოსა და გაეროს ბავშვთა ფონდის (იუნისეფი) ინიციატივით გაიმართა, „იუნისეფის“ წარმომადგენლები, დარგის სპეციალისტები, ფსიქოლოგები და პარლამენტის წარმომადგენლები ესწრებოდნენ.

◎ დაიმახსოვრეთ!



112-ის მომსახურების საფასური 20-დან 50 თეთრამდე იქნება

პარლამენტმა **მესამე მოსმენით მხარი დაუჭირა საკანონმდებლო ცვლილებათა პაკეტს, რომლის მიხედვითაც, ფიქსირებული გეოგრაფიული ან არაგეოგრაფიული ზონის და, ასევე, მობილური სატელეფონო მომსახურების მიმღები აბონენტები ყოველთვიურად გადაიხდიან 112-ის მომსახურების საფასურს, რომლის ზუსტი ოდენობაც მთავრობის დადგენილებით განისაზღვრება.**

ცვლილებების მიხედვით, 112-ის მომსახურების საფასური არ შეიძლება იყოს 20 თეთრზე ნაკლები და 50 თეთრზე მეტი. მომსახურების კონკრეტული საფასური, საფასურის გადამხდელი პირების წრე და მათთან დაკავშირებული სხვა საკითხები მთავრობის დადგენილებით განისაზღვრება. ამავდროულად, ცვლილებების შემდეგ, ფიზიკური და იურიდიული პირებისთვის 112-ის მომსახურების საფასურის ოდენობა ერთნაირი იქნება.

კანონპროექტის მიხედვით, საფასურის გადახდისაგან თავისუფლდებიან „სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში“ რეგისტრირებული ოჯახის წევრები, რომელთა სარეიტინგო ქულა არ აღემატება 70 000-ს.

ვახტანგ გომელაურმა დაჭრილი პოლიციელი მოინახულა

შინაგან საქმეთა მინისტრმა ვახტანგ გომელაურმა, მინისტრის პირველ მოადგილე კახა საბანაძესთან და აჭარის რეგიონის პოლიციის ხელმძღვანელებთან ერთად, ბათუმში დაჭრილი პატრულ-ინსპექტორი მოინახულა.

ვახტანგ გომელაურმა საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლის ოთარ თავართქილაძის ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ ინფორმაცია ექიმებისგან პირადად მოისმინა.

საავადმყოფოში თანამშრომლის მონახულების შემდეგ, შინაგან საქმეთა მინისტრი ოთარ თავართქილაძის მეწყვილეს ავთანდილ მჟავანაძეს შეხვდა. მინისტრმა მომხდარი შემთხვევის დროს გამოვლენილი პროფესიონალიზმისა და ოპერატიული რეაგირების გამო, პატრულის თანამშრომელს მადლობა გადაუხადა.

შსს-ს ცნობით, მიმდინარე წლის 18 დეკემბერს ბათუმში მოქალაქემ საპატრულო ეკიპაჟის წევრები ოთარ თავართქილაძე და ავთანდილ მჟავანაძე გააჩერა. მოულოდნელად აღნიშნულმა პირმა პატრულ-ინსპექტორ თავართქილაძეს ცივი იარაღით ჭრილობა მიაყენა. დაჭრილი პოლიციელის მეწყვილემ თავდამსხმელი შემთხვევის ადგილზევე დააკავა. დაკავებისას ბრალდებულმა მჟავანაძესაც მიაყენა ფეხის არეში მსუბუქი ჭრილობა.

ცოტნე გამსახურდიას მდგომარეობა არის სტაბილურად მძიმე, როგორ განვითარდება, არ ვიცით

„ოპერაცია წარმატებით ჩატარდა. ოპერაციის ბოლოს ტვინის მდგომარეობა ასე თუ ისე დამაკმაყოფილებელია. თუმცა, სამწუხაროდ, ეს ჯერჯერობით არაფერს ნიშნავს. ხვალ, ზეგ და მომდევნო დღეებში უკვე გამოიხატება მისი ტვინის დაზიანების ხარისხი



და მისი შემდგომი მდგომარეობა, რა დასჭირდება და რა არა. მდგომარეობა არის მძიმე, შეიძლება ითქვას სტაბილურად მძიმე. როგორ განვითარდება, არ ვიცით. ის უწყვეტი მონიტორინგის ქვეშ უნდა იყოს, ნებისმიერი გართულება შეიძლება განუვითარდეს. პაციენტი რეანიმაციაში დარჩება იმ დრომდე, ვიდრე მდგომარეობა უკეთესობისკენ არ შეიცვლება“, — განაცხადა არჩილ ჯვარშეიშვილმა.

პირველი პრეზიდენტის შვილი 19 დეკემბერს ვერაზე, თავის სახლთან დაჭრეს. ოჯახის წევრებს ვერსიებზე საუბარი უჭირთ. Imedinews-ს შსს-ში განუცხადეს, რომ ფაქტზე გამოძიება სსკ-ის 19-108 მუხლით დაიწყო, რაც განზრახ მკვლელობის მცდელობას გულისხმობს.

სალომე ზურაბიშვილი ცოტნე გამსახურდიას ოჯახს შეხვდა

საქართველოს **პრეზიდენტი სალომე ზურაბიშვილი ხეჩინაშვილის სახელობის კლინიკაში ცოტნე გამსახურდიას ჯანმრთელობის მდგომარეობას გაეცნო.**

ზურაბიშვილის თქმით, ცოტნე გამსახურდიას მდგომარეობა ჯერჯერობით ისევ მძიმეა.

ზურაბიშვილი ამბობს, რომ ექიმების მხრიდან გაკეთდა ყველაფერი, რაც შესაძლებელი იყო.

„შედეგი არის საშინელება. დღეს დილით ქალბატონ მანანას ვესაუბრე. ამიტომ მოვედი, რომ ვნახო. მაინტერესებდა, გაკეთდა თუ არა ყველაფერი. ნამდვილად ყველაფერი გაკეთდა, რისი გაკეთებაც შეიძლება. იმის დასტურიც მინდოდა, რომ ყველაფერი გაკეთდება, რაც შემდეგ ეტაპზე იქნება საჭირო. მთავარია, ეს მძიმე პერიოდი გადავლახოთ, პროგნოზი ჯერ მძიმეა“, — განაცხადა სალომე ზურაბიშვილმა.

ირაკლი ღარიბაშვილი: ყველა კრიმინალი იქნება დასჯილი, რა შუაშია პოლიტიკა!

საქართველოს **თავდაცვის მინისტრის ირაკლი ღარიბაშვილის თქმით, საქართველოს პირველი პრეზიდენტის ვაჟის ცოტნე გამსახურდიას დაჭრის ფაქტის პოლიტიკასთან დაკავშირება მიუღებელია.**

მინისტრის თქმით, დაისჯება ყველა, ვინც დანაშაული ჩაიდინა.

„ცოტნე გამსახურდია დაიჭირა მიხეილ სააკაშვილმა 2008 თუ 2009 წელს უსამართლოდ და წლები იჯდა ციხეში. ყველა კრიმინალი იქნება დასჯილი, ვინც, ასე ვთქვათ, ჩაიდინა აღნიშნული კრიმინალი, დანაშაული. ყველა იქნება დასჯილი, მაგრამ ცოტნე გამსახურდია თქვენმა ბელადმა მიხეილ სააკაშვილმა უსამართლოდ ჩასვა ციხეში. ამაზე ისაუბრეთ თქვენ. მე თანავუგრძნობ მის ოჯახს, ძალიან კარგად ვიცნობ ცოტნეს. ყველა კრიმინალი უნდა იყოს დასჯილი, რა შუაშია პოლიტიკა, თქვენ ყველაფრის პოლიტიზირებას ნუ ახდენთ, პოლიტიკური ნიშნით დევნა არის თქვენი ხელწერა, თქვენი პარტიის“, — განაცხადა ირაკლი ღარიბაშვილმა ერთ-ერთი მედიის კითხვაზე საპასუხოდ.

არ არსებობს პრობლემა, რომელსაც ადამიანი ვერ დაძლევს!

...ადამიანები ხშირად გაურბიან საკუთარ თავს, ამის მიზეზი კი შინაგანი შიშის ფაქტორია. ადამიანი საკუთარი თავის შესახებ ინფორმაციას, პირველ რიგში, საკუთარ თავს უმალავს, რაც უფრო აშორებს საკუთარი მესგან. საკუთარი თავის პოვნაში ხელს გვიშლის აღზრდის ფაქტორი. **აღზრდის პროცესში კი უმთავრესი ბავშვებისთვის პასუხისმგებლობის აღების სწავლებაა. იმისთვის, რომ ადამიანმა იპოვოს საკუთარი თავი, აუცილებელია არსებული სირთულეების დანახვა და მათი აღიარება. ნებისმიერი სირთულე, რომელსაც დაინახავს ადამიანი, გადაიქცევა გამოწვევად.**

არ არსებობს პრობლემა, რომელსაც ადამიანი ვერ დაძლევს და პასუხს ვერ გასცემს. არსებობს „უბედურების ბედნიერება“, რა თქმა უნდა, კარგი იქნება იყოს „ბედნიერების ბედნიერება“, მაგრამ ცხოვრება ასე არ არის მოწყობილი, სულ იებით და ვარდებით გზა ვერ იქნება დაფენილი, ეკალიც შეგხვდებათ და ფეხის გულებს გატკენთ, მაგრამ როცა თქვენ ილუზიას არ შექმნით, ვინმეს არ დააბრალებთ, არსებულ იარას თქვენ თვითონ მოუვლით და რეალობას მიიღებთ, ამას ქვია საკუთარი თავის მიღება.

ახალშობილობიდან სრულ დამოუკიდებლობამდე ადამიანს საკმაოდ რთული წინაღობების გადალახვა უწევს. თუმცა, სწორედ ამ წინაღობების გადალახვით ეუფლება იგი ცხოვრების ენას ანუ სწავლობს ცხოვრებასთან სწორ, ადეკვატურ, პროდუქტიულ დამოკიდებულებას, რაც საბოლოოდ ადამიანისთვის ყველაზე დიდ, ფასდაუდებელ სიმდიდრედ, გამოცდილებად ფორმირდება.

დრო გეძლევათ იმისთვის, რომ მას შინაარსი მიანიჭოთ. ხშირად ადამიანები აწმყოში ვერ ცხოვრობენ, წარსულმა გამოცდილება უნდა დატოვოს.

„რაც არ უნდა შეგემთხვევა, წუთისოფელს თუ ერთი ბეწო თვალი მოუხუჭე, ისე გაგთელავს, როგორც დიდოელი ლეკი ნაბადსა“, — წერდა ილია ჭავჭავაძე.

დიახ, არ არის ცხოვრება ადვილი, მაგრამ მისი სიადვილე და სიკარგეც ის არის, რომ ის ისწავლება! ცხოვრების ე.წ. სწავლების პროცესია თავად ცხოვრება, პროდუქტიული ცხოვრება, როცა შენში არსებულ შესაძლებლობას სინამდვილედ გადააქცევ, როცა მომხმარებელ არსებიდან შემოქმედ ადამიანად გარდაისახები და მაშინ შენი შემოქმედების უმთავრესი სუბიექტიც და ობიექტიც შენვე იქნები.

ნანა ჩიჩუა,
ფსიქოლოგი

ყავა და... მკერდის ზომა

ძალბატონებს, ვინც დღეში სამზე მეტ ფინჯან ყავას მიირთმევს, მკერდი 17 პროცენტით უპატარავდება.

ამ კანონზომიერებას მეცნიერები ყავაში ქიმიური შენაერთების არსებობით ხსნიან, რომლებიც ქალების სასქესო ჰორმონების გამომუშავებაზე მოქმედებენ.

მთავარი ქალური ჰორმონი — ესტროგენი — მანდილოსნის ტანის ჩამოყალიბებაზე, მათ შორის სარძევე ჯირკვლების მოცულობაზე ახდენს ზეგავლენას.

უგუნებობის მიზეზი

დაბინძურებული ჰაერი ადამიანებს რისკის გაწევას აიძულებს.

მკვლევარებმა შეამჩნიეს, რომ იმ დღეებში, როცა ჰაერის დაბინძურება განსაკუთრებით მაღალია, ხალხში მკვეთრად მატულობს განგაშის მდგომარეობა, ისინი გაცილებით ხშირად მიდიან რისკზე და დაუფიქრებელ გადაწყვეტილებებს იღებენ.

ჰაერის დაბინძურება ორგანიზმს წამლავს, ამის გამო ადამიანებს გუნება უფუჭდებათ, რაც სპონტანური ქცევისკენ უბიძგებს.

დიაგნოსტიკა... კიბეზე ასვლით

იმის მიხედვით, თუ როგორ ადის კაცი კიბეზე, შესაძლებელი ყოფილა იმის დადგენა, თუ რამდენად დიდია მისთვის გულის სისხლძარღვთა დაავადებების მიზეზით გარდაცვალების საფრთხე.

თუკი კაცს შეუძლია სწრაფად და შეუჩერებლად კიბით მეოთხე სართულზე ასვლა, მაშასადამე მას დიდი ხნის სიცოცხლის კარგი შანსები აქვს. ეს დასკვნა მედიკოსებმა იშემიური დაავადებით სნეულ 1200 პაციენტზე დაკვირვების შედეგად გამოიტანეს.

მეცნიერთა განცხადებით, ინდივიდუალური რისკის გათვლა სპეციალური მოწყობილობების გარეშეც შეიძლება — საამისოდ ჩვეულებრივი კიბეც გამოდგება. იდეალურია შედეგი, როცა კაცს მესამე-მეოთხე სართულზე შეუჩერებლად ასვლა ერთ წუთში შეუძლია.

ჩვენი დამცველები



ჩაი და ვაშლი კიბოსგან და გულის დაავადებებისგან გვიცავენ.

მეცნიერებმა დაადგინეს, რომ გულისა და ონკოლოგიური დაავადებებით გაცილებით ნაკლებად სნეულდებიან ისინი, ვინც დიდი ოდენობით მოიხმარს ფლავონოიდებით მდიდარ სურსათს, მათ შორის, ჩაის, ვაშლს, ფორთოხალს, ბროკოლს, მოცხარს.

აღმოჩნდა, რომ, ყველა სიკეთესთან ერთად, ეს პროდუქტები მავნე ჩვევების მომყოლი ეფექტების განელებასაც უწყობენ ხელს.

ბრძოლა ჭარბ წონასთან

მეცნიერებმა გასუქების ვაქცინა შექმნეს.

უფრო სწორად, ესაა იმ ვირუსის საწინააღმდეგო ვაქცინა, რომელიც ტანსრულ ადამიანებს ოთხჯერ უფრო ხშირად აღენიშნებათ. სწორედ ეს ვირუსი პროვოცირებს ცხიმის უჯრედების ანთებასა და ორგანიზმიდან მათ გამოყვანას უშლის ხელს, რის შედეგად სხეულის მასა იზრდება 15 პროცენტით.

მოგმართავთ გაზეთის მზრუნველთა საბჭოს სახელით

განათავსეთ რეკლამა ყველაზე საჭირო და სანდო გაზეთში და ამით ხელი შეუწყვეთ 100 წლის ყოველდღიური გამოცემის აღორძინებას.

გვჯერა, რედაქციის მიმართვას გამოეხმაურებიან ჩვენი ბიზნესმენ-ქველმოქმედნიც და გარკვეულ ფინანსურ დახმარებას გაუწევენ გაზეთს.

ჩვენი ანგარიშია: №GE19TB7601536020100009.

(შპს „ახალი საუკუნე“ — გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი).

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA

ა. ჩიქობავას (ყოფილი საბჭოს) ქუჩა №42/5
ტელ: 296-72-86

მთავარი რედაქტორი
სპარტაკ ქოგულია
599 36-00-35

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი
599 53-76-16;
ალეკო ასლანიშვილი
599 56-81-86;

პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე
514 33-33-24

გამომცემლები:
შპს „ახალი საუკუნე — გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
599 53-76-16; 599 36-00-35
შპს „თანადგომა -1- გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
ტ: 599 79-76-79

იბეჭდება გამომცემლობა
„კოლორ პრესში“
რკინიგზის ჩიხი №20

uac(უაკ)070.4(479.22)
ს—323
ISSN 2233-3851
9 772233 385001

ავტორთა საყურადღებოდ!

რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით.

ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

ყურადღება!
„საქართველოს რესპუბლიკის“ გამოსაწერად მიმართეთ:
„ელვა.ჯი“
577 991651
577 308847
შპს „მაცნე“
599 982777
„პლანეტა ფორტე“
579 799908

უცხოური ვალუტის კურსი:
აშშ დოლარი - 2.9043; ევრო - 3.2334;
ბრიტანული გირვანქა სტერლინგი - 3.8043;
100 რუბლი - 4.6496; თურქული ლირა - 0.4897;
აზერბაიჯანული მანათი - 1.7104;
1000 სომხური დრამი - 6.0734.

ამინდი 21 დეკემბრისთვის

აღმოსავლეთი საქართველო:				
ბარი -	ღამე	+1,	დღე	+12
მთიანი რაიონები -	ღამე	-5,	დღე	+14
დასავლეთი საქართველო:				
ბარი -	ღამე	+5,	დღე	+20
მთიანი რაიონები -	ღამე	-1,	დღე	+18
თბილისი:	ღამე	+3,	დღე	+12

დაგვირეკეთ, მოგვწერეთ:
ტელ: 296-72-86,
599-79-76-79, 568-82-09-84
ელ. ფოსტა: sakresp@mail.ru
და sakresp@top.ge